ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა – **საქართველოს ისტორია**

ლიკა ჭეიშვილი

XI საუკუნის საქართველოს დედოფლები
(დიპლომატიური და პოლიტიკური მოღვაწეობა)

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი ლერი თავაძე
ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

თბილისი
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in History of Georgia

Lika Tcheishvili

Georgian Queens of the 11th Century

(Diplomatic and Political Activity)

Thesis is prepared to obtain MA Degree in History of Georgia

Scientific Advisor Leri Tavadze

Ph.D. in History, TSU Assistant Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება XI საუკუნის საქართველოს დედოფლების დიპლომატიურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. სამაგისტრო ნაშრომი შედგება რვა თავის, შესავალი ნაწილისა და დასკვნისაგან.

ქართველი დედოფლები ყოველთვის ისწრაფოდნენ თავიანთი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მათ შვილების მცირეწლოვნების ჟამს უწევდათ ქვეყნის ფაქტობრივი მართვა-გამგეობა. არ უშინდებოდნენ თამამი დიპლომატიური და პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას. მეტიც, დედოფლების მშვიდობიანი მოლაპარაკებები ხშირად გამხდარა საქართველოს გადარჩენის წინაპირობა.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს თუ რა შედეგები მოუტანა XI საუკუნის საქართველოს, დედოფლების მოღვაწეობამ. მათი დიპლომატიური, პოლიტიკური თუ კულტურული აქტივობები რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ქვეყნის განვითარებისათვის.

საკვლევ თემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი მასალა არ მოგვეპოვება. თუმცა, სხვადასხვა წყაროსა თუ ავტორის ნაშრომზე დაყრდნობით, შევეცადე, წარმომეჩინა XI საუკუნის დედოფლების მოღვაწეობის საინტერესო ასპექტები. თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან დღევანდელობაში, დიდი ყურადღება ეთმობა ქალის როლს საზოგადოების ფორმირების პროცესში. ხშირად ადარებენ ერთმანეთს თანამედროვე და გასულ საუკუნეთა მოღვაწე ქალებს, მათ მიღწევებსა თუ წარუმატებლობებს.

ჩვენ სამაგისტრო ნაშრომში განხილულმა XI საუკუნეში მოღვაწე რვა დედოფალმა, ასე თუ ისე შეძლო თავისი წვლილი შეეტანა ფეოდალური ხანის საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში.

Annotation

Presented master's thesis deals with diplomatic and political activities of Georgian queens of XI century. Master's thesis consists of eight chapters, the introduction part and the conclusion.

The Georgian queens always preferred for their families and the country's good. During their heirs' childhood they used to act as an actual leaders of the country. They were not afraid of bold diplomatic and political steps. Moreover, the peaceful negotiations of the queens often became a precondition for Georgia's survival.

The aim of the paper is to demonstrate the results of queens' activities in the XI century of Georgia.Their diplomatic, political or cultural activities were beneficial for the development of the country.

There is not much material in the Georgian historiography about the topic. However, based on different sources and authors, I tried to show interesting aspects of XI century queens. The topic is quite relevant, because in today's time, great attention is paid to the role of women in the process of formation of society. They often compare each other with modern and previous-century women, their achievements or failures.

In our master's thesis are discussed eight XI century queens, who have been able to contribute to the political and cultural development of the feudal age Georgia.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი

გურანდუხტ დედოფალი 9

II თავი

მართა დედოფალი 18

III თავი

მარიამ არწრუნი 20

IV თავი

ალდე დედოფალი 31

V თავი

ელენე არგირე 37

VI თავი

ბორენა დედოფალი 42

VII თავი

ელენე დედოფალი 48

VIII თავი

რუსუდან დედოფალი 50

დასკვნა 57

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა: 60

შესავალი

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში საფუძველი ეყრება ერთიან ქართულ მონარქიას. საქართველო ნელ-ნელა ხდება ცენტრალიზებული სახელმწიფო, ძლიერდება პოლიტიკურად და ეკონომიკურად. მისი დაწინაურება დამოკიდებული იყო მეფეების პოლიტიკაზე. მეფეებთან ერთად, საქართველოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს ქართველმა დედოფლებმაც. მათი უმრავლესობა პოლიტიკური მოღვაწე და მეფეთა ძლევამოსილი თანამმართველი იყო.

ქართველი მეფეები უმეტესად პოლიტიკური მიზნით ქორწინდებოდნენ, რათა დამოყვრებული ქვეყნის დახმარებით, მოეგვარებიათ რთული სიტუაცია ან გაეძლიერებნათ თავიანთი გავლენა. დედოფალი უნდა ყოფილიყო, რომელიმე ქვეყნის ან ძლიერი გაერთიანების წარჩინებული, ანდა სამეფო ოჯახის წევრი. იყო შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს შორის დროებითი მშვიდობა მხოლოდ დიპლომატიურ ქორწინებას ჩამოეგდო. მაგალითად, XI საუკუნის 20-იან წლებში საქართველო-ბიზანტიას შორის მიმდინარე კონფრონტაცია გარკვეული დროით შეაჩერა ბაგრატ IV-ისა და ელენე არგირეს ქორწინებამ.

ჩნდება კითხვა, რომელ ქვეყნებს უმოყვრდებოდა საქართველო? პასუხი ამგვარია, ძირითადად, მეზობელ სახელმწიფოებს, რომელთა შორის იყვნენ: სომხეთი, ბიზანტია, კიევის რუსი, ოსეთი, ტრაპიზონის იმპერია, ირანი, ოსმალეთი და სხვა. მაგალითად: ბაგრატ IV-ის პირველი მეუღე, ელენე ბიზანტიის იმპერატორის ძმის, ხოლო მეორე – ბორენა ოსთა მეფის ასული იყო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეფეებთან ერთად დედოფლების დამსახურებაცაა, რომ საქართველომ მედგრად გაუძლო მრავალსაუკუნოვან ომებს, მტრის შემოსევებს, ანექსიასა და აოხრებას. დედოფლები დიპლომატიურ მოლაპარაკებებში იღებდნენ მონაწილეობას და მშვიდობიანად აგვარებდნენ ქვეყნის წინაშე მდგარ კარდინალურ პრობლემებს. XI საუკუნის საქართველოს დედოფლებიდან დიპლომატიური მოლაპარაკებების საოცარი უნარით გამოირჩეოდა გიორგი I-ის

მეუღლე მარიამ არწრუნი. ის დიპლომატიური ვიზიტით იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში და შესანიშნავად გაართვა თავი დავალებულ მისიას.

საქართველოს დედოფლების მოღვაწეობა მხოლოდ დიპლომატიური და პოლიტიკური ნაბიჯებით არ შემოიფარგლებოდა. ისინი იყვნენ კულტურისა და რელიგიის შემწენი. დედოფლები ხშირად აარსებდნენ და მფარველობდნენ ეკლესია-მონასტრებს, ხელს უწყობნენ მწიგნობრულ ცხოვრებას და ა.შ.

სამწუხაროა, რომ ქართველი მემატიანეები მხოლოდ მეფეების მოღვაწეობას აღწერდნენ და დედოფლებს მათ ჩრდილქვეშ აქცევდნენ. არადა, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში დედოფლების როლი განუზომლად დიდი და მნიშვნელოვანია.

XXI საუკუნეში, ჩვენს ყოველდღიურობაში, წინა პლანზე წამოიწია გენდერულმა თანასწორობამ და ქალის როლმა. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ცდილობენ სამყაროს აჩვენონ თავიანთი ძალა. სწორედ თანამედროვეობაში აქტუალური საკითხი-ქალის როლი გახდა ჩემი ინტერესის სფერო. ვფიქრობ, საყურადღებოა როგორც უახლესი, ასევე ძველი თუ შუა საუკუნეების ისტორიაში მოღვაწე ქალების აქტივობა. ისინი ხომ თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნისთვის სასიკეთო პროცესებში იღებდნენ მონაწილეობას.

ჩემი კვლევის საგანი გახდა XI საუკუნის საქართველოს დედოფლების მოღვაწეობა. ვფიქრობ, ეს საუკუნე იმ მხრივაა საინტერესო, რომ ამ დროს იკვეთება საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონტურები. იქმნება ცენტრალიზებული, ძლიერი ქვეყანა, რომლის წელში გამართვაში დედოფლებს, ისევე როგორც მეფეებს, დიდი წვლილი მიუძღვით.

სამწუხაროდ, ცნობები ქართველ მემატიანეებთან ჩვენს დედოფლებზე იშვიათადაა დაცული, ისიც მცირე რაოდენობით. ისტორიკოსებიც რატომღაც გვერდს უვლიან მეფეების მეუღლეებზე წერასა და კვლევა-ძიებას. დედოფლების ცხოვრება ისე პოპულარული არაა, როგორც მეფეების.

ჩემი კვლევის მიზანია, წარმოვაჩინო თუ რა შედეგები მოუტანა XI საუკუნის საქართველოს, დედოფლების მოღვაწეობამ. მათი დიპლომატიური, პოლიტიკური თუ კულტურული აქტივობები რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ქვეყნის აღმშნებლობისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომის სამეცნიერო სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ XI საუკუნის საქართველოს დედოფლების ცხოვრება-მოღვაწეობა ასე ერთად განხილული და თავმოყრილი სხვა ავტორებთან არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, აღნიშნულ ეპოქასა და დედოფლებზე ბევრ ისტორიკოსს უმუშავია, თუმცა ამა თუ იმ დედოფალის ღვაწლზე ცალ-ცალკე ნაშრომშია საუბარი და არა რომელიმე ერთ კონკრეტულში.

დედოფლებზე არც ისე ვრცელი ინფორმაცია მოგვეპოვება. ის თავმოყრილია სხვადასხვა ქართულ წყაროებში. დედოფლებზე ჩვენთვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის XI საუკუნის ანონიმი ავტორის თხზულება ,,მატიანე ქართლისაი", სადაც გადმოცემულია VIII-XI საუკუნეების საქართველოს ისტორია. თვალსაჩინოა XI საუკუნის მოღვაწის სუმბატ დავითის ძის ისტორიული ქრონიკა ,,ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა", რომელიც ეხება VIII-XI საუკუნეებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაც ,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", რაღაც დოზით გვაწვდის ინფორმაციას ჩვენს საკვლევ თემაზე. დიდად გვეხმარება თედო ჟორდანიას ქრონიკების I ტომი, ვახუშტი ბატონიშვილის ქართლის ცხოვრების IV ტომი. მნიშვნელოვანია ათონის ქართველთა მონასტრის აღაპები, ანდერძ–მინაწერები და ეპიგრაფიკული წარწერები, რომლებიც ავთენტური წყაროებია. უცხოური წყაროებიდან ჩვენთვის საინტერესოა გიორგი კედრენესა და მათე ურჰაელის (ედესელის) ცნობები.

XI საუკუნის საქართველოს დედოფლები სხვადასხვა ასპექტში შეისწავლეს ქართველმა ავტორებმა, რომელთა ნაშრომებიც დიდ სამსახურს გვიწევს კვლევის პროცესის დროს. ეს მკვლევრები არიან: ივ. ჯავახიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ე. თაყაიშვილი, ზ. ალექსიძე, პ. ინგოროყვა, ზ. ავალიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კოპალიანი, ვ. სილოგავა, ჯ. სტეფნაძე, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, ლ. თავაძე, მ. წურწუმია,

პ. თოფურია, ქ. ქუთათელაძე, ს. მარგიშვილი, შ. მესხია, შ. ბადრიძე, შ. დარჩიაშვილი, ლ. დავლიანიძე.

I თავი

გურანდუხტ დედოფალი

დედოფლებს საქართველოს სამეფო კარზე, ხშირ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირათ. მათ თავიანთი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობით ბევრჯერ უხსნიათ ქვეყანა განსაცდელისაგან. ქართველი მემატიანეები დედოფლების შესახებ ბევრს არ გვიამბობენ, ზოგჯერ მათ არც კი ახსენებენ. საქართველოს დედოფლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გურანდუხტ დედოფალს, რომლის შესახებაც არაერთი ცნობა გვაქვს შემონახული.

გურანდუხტი იყო აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული და გურგენ ქართველთა მეფის მეუღლე, ის არის დედა გაეთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ისა.

X საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური რუკა ამგვარია: დასავლეთით არსებობდა აფხაზთა სამეფო, რომლის დაქვემდებარებაში იყო შიდა ქართლიც, სადაც აფხაზთა მეფის ერისთავი იჯდა. ხშირად შიდა ქართლში აფხაზთა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ადგილობრივი არისტოკრატია გამოდიოდა, მათ სურდათ საკუთარი ხელისუფლების შექმნა დამოუკიდებელი დინასტიით სათავეში. ქართლის აზნაურთა ამ მისწრაფებას ზურგს უმაგრებდა კახეთის ქორეპისკოპოსი, რომელსაც არ მოსწონდა აღმოსავლეთ საქართველოში დასავლელი მეფის ბატონობა და თვითონ სურდა რეგიონში ჰეგემონობა. ჰერეთის სამეფო პასიურ მდგომარეობაში იყო, სადაც ერთმანეთს ეცილებოდნენ აფხაზთა მეფეები და კახეთის ქორეპისკოპოსები.

ტაო-კლარჯეთის ,,ქართველთა“ სამეფო სამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი: იმიერტაოს განაგებდა დავით III კურაპალატი, ამიერტაო კი განაწილებული ჰქონდათ ბაგრატ II ,,ქართველთა მეფეს'' და მის ვაჟს გურგენს. თბილისის საამიროს კი ჯაფარიანი ამირები მართავდნენ და სისუსტის გამო აქტიური სამხედრო მოქმედებებისგან თავს იკავებდნენ.

ქართლის ერისთავმა ივანე მარუშის ძემ დავით III-ს მიმართა გეგმით, რომ ქართლში გაემეფებინათ ბაგრატ III, რომელიც აფხაზთა მეფის თეოდოსის დისშვილი, ამიერტაოს მემკვიდრის გურგენის ვაჟი და თვით დავით დიდი ტაოელის შვილობილი იყო. ბაგრატს მემკვიდრეობით ერგებოდა აღნიშნული ტერიტორიები და შემცილე არ ჰყავდა, შესაბამისად, მომავალში ის უნდა ყოფილიყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე.

,,მატიანე ქართლისაის'' უცნობი ავტორი შემდეგნაირად აღწერს ბაგრატის ქართლში მმართველად დასმას: *,,მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუახურელთა. მიეგება წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუსის ძე, აღიღო მისგან უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპაალტსა, და ბაგრატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თავისად“.*[1] საინტერესოა დავით მეფის მიმართვა ქართლის მკვიდრთათვის, რომლითაც იგი ხაზს უსვამს ბაგრატის ლეგიტიმურობას: *,,ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისაი, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყველანი“.*[2]

დაუმორჩილებლობას მოყვარული ქართლის დიდებულები არ შეურიგდნენ ბაგრატის ქართლის მმართველად დასმას და, დაახლოებით, 976 წელს კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკეს დახმარებით, ის თავისი მშობლებითურთ შეიპყრეს და მძევლები უფლისციხიდან კახეთში წაიყვანეს. სწორედ ამ პერიოდიდან გამოდის ისტორიულს ასპარეზზე გურანდუხტ დედოფალი. დავით კურაპალატისა და კახეთის ქორეპისკოპოსს შორის დადებული ზავით, ბაგრატი მშობლებთან ერთად

[1] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ.ლორთქუფანიძემ. ქართლის ცხორება. თბ. 2008. გვ. 267.
[2] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ.ლორთქუფანიძემ. ქართლის ცხორება. თბ. 2008. გვ. 267-268.

გაათავისუფლეს და ქართლის გამგებლობა გურანდუხტ დედოფალს ჩააბარეს: *,,მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა. ესე გურანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისაი და დედაი ბაგრატისი".*[3]

ამგვარად, 976 წელს ქართლის დროებით გამგებლად ბაგრატის ნაცვლად დაინიშნა გურანდუხტ დედოფალი, უფლისწული კი დავით III-მ ტაოში წაიყვანა.

ზემოთ აღნიშნულმა ცნობამ ,,მატიანე ქართლისაიდან'', გურანდუხტის ქართლის მმართველად დანიშვნის შესახებ, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თავდაპირველად, ქართლის მმართველი გურგენი იყო, კახელების ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ კი გურანდუხტის ხელშია უფლისციხე, თან ცნობაში ხაზი აქვს გასმული გურანდუხტის წარმომავლობას, რომ ის აფხაზთა მეფის ასულია. გაჩნდა კითხვა, რატომ ჩაანაცვლა გურგენი გურანდუხტმა?!

ამ საკითხთან დაკავშირებით მარიამ ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ *,,კახეთის და ქართლის აზნაურთა მოთხოვნით დავით კურაპალატი იძულებული შეიქნა, გაეწვია ბაგრატ უფლისწული და შიდა ქართლის გამგებლობა მისი დედის- გურანდუხტისათვის ჩაებარებინა, რაც საეჭვოა, მაგრამ გამორიცხული არაა."*[4]

ზურაბ პაპასქირი ფიქრობს, რომ: *,,დავით კურაპალატს, შესაძლებელია, ერთგვარ დათმობაზე წასვლა მოუხდა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მიმართ და იძულებული გახდა, ქართლის მმართველად დაეტოვებინა არა უფლისწული ბაგრატ, არამედ მისი დედა ,,აფხაზთა'' სამეფოს სახლის უშუალო წარმომადგენელი- გურანდუხტი".*[5]

ჯაბა სამუშიას მიაჩნია, რომ *,,კახთა ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ, ბაგრატი უსაფრთხოების მიზნით, გააცილეს შიდა ქართლს და ამ პროვინციის მმართველობა გურანდუხტ დედოფალს მიანდვეს".*[6] აგრეთვე, ისტორიკოსი არ იზიარებს, რომ ამ ცვლილების მიღმა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მოთხოვნები

[3] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ.ლორთქუფანიძემ. ქართლის ცხორება. თბ. 2008. გვ. 268.
[4] ლორთქიფანიძე მ. მეფე ბაგრატ მესამე. ქუთაისი. 2002. გვ. 30.
[5] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ.2018. გვ.65.
[6] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ.2018. გვ66.

იმალება. *,,გურანდუხტი მათი მოკავშირე ვერასდროს გახდებოდა- გაცილებით დიდი და შორსმიმავალი ამბიციები ჰქონდა მის ოჯახს".* [7]

ჩემი აზრით, გურანდუხტის ქართლის მმართველად დასმა პროვოცირებული უნდა ყოფილიყო ამ რეგიონზე მისი ლეგიტიმური უფლების გამო. ვფიქრობ, ქართლის აზნაურებს აწყობდათ, რომ შიდა ქართლის მმართველი არა კვლავ ამიერტაოელი გურგენი, არამედ აფხაზთა მეფის ასული ყოფილიყო. რადგან, როგორც ცნობილია, აფხაზეთის დაქვემდებარებაში იყო ქართლი. ალბათ, იმასაც ფიქრობდნენ აზნაურები, რომ ,,თავისიან" მმართველს ადვილად გადაიბირებდნენ, ან ქალი უფრო მარტივად სამართავი იქნებოდა.

980 წელს ბაგრატ III-მ უკვე ,,აფხაზთა მეფის'' რანგში მოინდომა შიდა ქართლზე სრული კონტროლის მოპოვება. მარიამ ლორთქიფანიძე დასძენს: *,,ბაგრატის დასავლეთ საქართველოში მეფედ კურთხევის ჟამს, ნომინალურად შიდა ქართლს დედამისი გურანდუხტი განაგებდა, რომელიც უფლისციხეში იჯდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მიწა-წყალი აქ დიდაზნაურებს ტბელებს, ძამელებს, ფავნელებს, ყანჩაელებს, კორინთელებს, ფხვნელებს და სხვებს ჰქონდათ დანაწილებული".*[8] *,,თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცატუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისასა".*[9] ამ ცნობის შემდეგ მატიანე ქართლისაის უცნობი ავტორი გვამცნობს, რომ ბაგრატ III და ქართლის აზნაურები ერთმანეთს შეებნენ, რომელთაც ქავთარ ტბელი მეთაურობდა. ბრძოლის შემდეგ აფხაზთა მეფე უფლისციხეში მიდის: *,,მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან თვსისა, დაყვნა დღენი რაოდენნიმე და განაგნ მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედაი თვსი და წარვიდა ქუეყნას აფხაზეთისა".*[10]

,,მატიანე ქართლისაის'' ზემოთ აღნიშნული პასაჟი არაფრით განსხვავებული არ იქნებოდა იმ სტანდარტული სიტოაციებისგან, როდესაც მეფე ამარცხებს ურჩ ფეოდალებს, რომ არ აღმოჩენილიყო ატენის სიონის სომხური წარწერა. წარწერა შესრულებულია სომხური ენაზე, ტაძრის დასავლეთ ფასადის ცენტრალურ წახნაგზე. ის

[7] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ.2018. გვ66.
[8] ლორთქიფანიძე მ. მეფე ბაგრატ III. ქუთ. 2002. გვ. 33.
[9] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ.ლორთქუფანიძემ. ქართლის ცხორება. თბ. 2008. გვ. 269.
[10] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ.ლორთქუფანიძემ. ქართლის ცხორება. თბ. 2008. გვ. 269.

ცნობილია ,,გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის'' სახელწოდებით. ქარაგმის გახსნით ის ამგვარად იშიფრება: *,,ეს მე, გერგიუმ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს ღ(მრთ)ის მქანდაკებელი [მოიხსენეთ] ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა დედოფალს ქართველთა შეედავა და [სატახტო] (?) ოფლიცხე დაიკავა".*[11]

წარწერაში ნახსენებმა ტერმინმა ,,შეედავა'' მეცნიერებს შორის კამათი გამოიწვია. ზაზა ალექსიძე საუბრობს წარწერის შინაარსზე და იმ დროს შექმნილ ვითარებაზე, რომელსაც ,,მატიანე ქართლისაის'' ავტორი გვამცნობს: *,,ბაგრატი მოდის ქვეყანაში, რომელსაც დედამისი განაგებს და მოდის დიდი ლაშქრით. მან იცის, რომ ომი გარდაუვალია! რა როლს ასრულებდა ამ კონფლიქტში ბაგრატის დედა, გურანდუხტ დედოფალი? მემატიანე ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ბაგრატსა და ქართლის აზნაურებს შორის კონფლიქტი დედოფლის ნების გარეშე მოხდა".* [12] მეცნიერი ფიქრობს, რომ: *,,ატენის სიონის სომხურმა წარწერამ კავშირი ქართლის აზნაურებსა და დედოფალს შორის ნათელი გახადა... გერგიუმის წარწერაში გურანდუხტს ,,ქართველთა დედოფალი'' ეწოდება... ჩანს, გურანდუხტს ქართლში დიდი უფლება მოუპოვებია და თვითონაც ,,ქართველთა დედოფლის'' ტიტული მიუღია. ახლა უკვე გასაგებია რატომ გადმოვიდა ბაგრატ მეფე აფხაზეთიდან დიდი ჯარით, რატომ ჩამოართვა ,,ქართველთა დედოფალს'' უფლისციხე და, ფაქტობრივად, ექსორიაჰყო იგი... დედა და შვილი საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისათვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ".*[13]

ზურაბ პაპასქირი ეთანხმება ზაზა ალექსიძის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს, აგრეთვე, თვლის რომ, გურანდუხტი ბაგრატის მოწინააღმდეგეებს თანაუგრძნობდა და დასძენს: *,,ქართლში შექმნილია განვითარებული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სიტოაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრატიას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად, სურს ჰყავდეს ადგილობრივი*

[11] ალექსიძე ზ. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978. გვ. 51.
[12] იქვე. გვ.56.
[13] ალექსიძე ზ. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978. გვ. 57.

მარიონეტული მთავრობა“.[14] *ისტორიკოსი ,,ბოლომდე მაინც არ არის დარწმუნებული გურანდუხტის შვილისადმი მტრულ განწყობაში და ასკვნის: ,,თუმცა უფრო რეალურად გვეჩვენება, რომ გურანდუხტ დედოფალი, უბრალოდ სიტოაციის მძევალი იყო და საკუთარი შვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნა, შეიძლება, მთლად მისი სურვილითაც არ მომხდარა“.* [15]

მარიამ ლორთქიფანიძე, თითქოს ნაწილობრივ იზიარებს ზაზა ალექსიძის მოსაზრებას და დასძენს: *,,ბაგრატმა გურანდუხტი შეიძლება გაარიდა მისი მტრების მიერ დედოფლის შეპყრობის საშიშროებას, არ არის გამორიცხული, რომ გურანდუხტი მას თავისი აფხაზთა მეფობის ცოცხალ დასტურად ესაჭიროებოდა დასავლეთ საქართველოში. შეიძლება გურანდუხტი ქართლის დიდაზნაურების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ბაგრატმა მისი უფლისცხიდან მოშორება ამჯობინა, არც ეს ფაქტორი უნდა იყოს გამორიცხული“.*[16]

ჯაბა სამუშიას მოსაზრება დედა-შვილის კონფლიქტის გარშემო ამგვარია: *,,ვერვიუმ ერჰასანის ძეს ან სხვა რამის თქმა სურდა , როდესაც აღნიშნავს, რომ ბაგრატი გურანდუხტს ,,შეედავა უფლისხიცეს'' ან ეს წარწერა მართლაც ისე უნდა გავიგოთ, რომ აფხაზთა მეფემ დედა თან წაიყვანა, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მოგვიანებით ბაგრატ III დედას ყოველთის იხსენებს თავის გვერდით,მაშინაც კი, როდესაც ამის არავითარი აუცილებლობა არ არის... იმ მასალით რაც ჩვენს ხელთაა, დედა-შვილს შორის კონფლიქტი არ დასტურდება და ერთი წარწერის საკამათო შინაარსის საფუძველზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება არ მიგვაცნია მართებულად“.*[17]

ლერი თავაძე თავის სტატიაში ზემოთ რამდენჯერმე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დასძენს: *,,აფხაზთა სამეფოში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ქვეყანაში ორი ბანაკი ჩამოყალიბდა: 1)ბაგრატ აფხაზთა მეფის ბანაკი, მასში ერთიანდებოდნენ მარუშიანები, დასავლეთ საქართველოს დიდებულთა დიდი ნაწილი.*

---

[14] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 79.

[15] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ.2018. გვ. 226

[16] ლორთქიფანიძე მ. მეფე ბაგრატ III. ქუთ. 2002. გვ. 33.

[17] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ. 2018. გვ. 113.

ქვეყნის გარეთ მას მხარს უჭერდა ქართველთა სამეფოს მთავარი ელიტა. 2) თეოდოსი აფხაზთა მეფის ბანაკი, რომელშიც შედიოდნენ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა უმნიშვნელო ნაწილი, ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და გურანდუხტ დედოფალი, რომელიც ამ ჯგუფის პასიური მხარდამჭერი იყო და ქართლის აზნაურთა სერიოზული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. თეოდოსის პარტიას კახეთის ქორეპისკოპოსის იმედიც შეეძლო ჰქონოდა, არევმანელთა სახლი, როგორც წესი, თეოდოსის და ქართლის აზნაურთა აქტიური მოკავშირე იყო, რისი განახლებაც ნებისმიერ მომენტში იყო მოსალოდნელი".[18]

ჩემი აზრი დედა-შვილის კონფლიქტთან დაკავშირებით, ამგვარია: შეიძლება, ატენის სიონის სომხური წარწერა, მართლაც, არასწორადაა წაკითხული და ,,შეედავას'' ნაცვლად უნდა იყოს ,,თან წაიყვანა''. ისიც საგულისხმოა, რომ მეცნიერები სხვადასხვაგვარად შიფრავენ აღნიშნულ ციტატას და მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ის ფაქტიც ნათელია, რომ აფხაზეთში გამეფებული ბაგრატი ბოლომდე ლეგიტიმური ვერ არის, მას სჭირდება დასავლეთს და აღმოსავლეთს დაანახოს, რომ ძლიერი მმართველია და ლაშქრავს შიდა ქართლს, ამასთანავე, აფხაზთა სახლის მემკვიდრე, რომლისგანაც ტახტი ერგება, ანუ დედა, სურს დასავლეთში თავისთან წაიყვანოს და იქ მდგომარეობა განიმტკიცოს. რადგან ბაგრატი აფხაზეთის სამეფოს მეფეა და შიდა ქართლიც აფხაზთა დაქვემდებარებაშია, მას არ სჭირდებოდა იქ სხვა პირის მმართველობა, როდესაც შეეძლო ეს ტერიტორია შემოეერთებინა და თვითონ ემართა. როგორც წყაროებიდან ჩანს, ქალ მმართველს ქართლის აზნაურები სუსტად თვლიდნენ და მისით მანიპულირებდნენ. ისინი თავიანთ ნებაზე მოქმედებდნენ. დედა-შვილს შორის უთანხმოება, შესაძლოა, ყოფილიყო, მაგრამ არც ისეთი სიმძაფრით, რომ ერთმანეთი უარეყოთ, პირიქით, მრავალ ეპიგრაფიკულ ძეგლში ბაგრატი თავის გვერდით იხსენიებს დედამისს. მაგალითისათვის ქვემოთ მოვიყვან ჩემს ხელთ არსებულ ყველა ნიმუშს.

როგორც ცნობილია, 999 წელს ბაგრატ III-მ ბედიის ტაძარი ააშენა და მას შესწირა ოქროს ბარძიმი, რომელზე არსებული წარწერაც არის ჩვენთვის საინტერესო: *,,წმინდაო*

[18] თავაძე ლ. სამეფო კარის ინტრიგები: აფხაზთა მეფე თეოდოსი III მწუხრის ცხოვრება და მმართველობა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. XIV. თბ. 2018. გვ. 152-153

ღვთის მშობელო (ბედიისაო) მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აბხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წისა საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ“. [19]

1002 წლის წარწერა წვიმოეთის ეკლესიაზე: *,,წმინდაო-ნათლისმცემელო იოანე. ადიდე გურანდუხ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა“.*[20]

1001-1008 წწ.ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სამშენებლო წარწერა: *,,შეწევნითა ღმრთისადთა, ბაგრატისაგან ნებითა ღმრთისადთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა- გურანდუხტ დედოფლისა აღეშენა წმიდად ესე საყდარი , ჴელითა“.*[21]

ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე სარკმლის ქვემოთ ჩასმულ ქვის ფილაზე ვკითხულობთ: *,,მეუფეო მფლობელო, ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მამით, დედით, დედოფლითა და ძით მათით, ამენ“.*[22]

სოფელ ახალსოფელში არსებული ძველი ეკლესიიდან ჩამოტანილ ქვაზე ამიტვიფრული იყო შემდეგი შინაარსის წარწერა: *,,წმიდაო მოწამეო ბაგრატ, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ადიდე სული გურანდუხტ დედოფლისაი წინაშე ღმრთისა. დაუტკბე თვალნი ბაგრატისანი მიწასა მათსა მირიანს“.* [23]

ხშირ შემთხვევაში არათუ დედოფლების გამოსახულებები, არამედ მათზე ცნობებიც კი არაა ჩვენამდე მოღწეული. გურანდუხტი მათ შორის გამორჩეულია, მასზე არაერთი ცნობა გვაქვს შემონახული და, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ესაა მისი გამოსახულება კუმურდოს ტაძარზე. კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილო-აღმოსავლეთ გუმბათქვეშა სვეტის ტრომპის ფილაზეა ქალის რეიეფური გამოსახულება, მთელი ტანით მარცხნივ მობრუნებული და ოდნავ დახრილი თავით.

---

[19] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ.137.
[20] იქვე. გვ. 143.
[21] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი.II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I(IX-XIII ს.ს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ.სილოგავამ. თბ. 1980. გვ. 52-53.
[22] ლორთქიფანიძე მ. მეფე ბაგრატ III. ქუთ. 2002. გვ. 33.
[23] სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ. 2018. გვ. 37.

ხელები ვედრების ნიშნად აქვს გაწვდილი.თავის მარჯვნივ შემორჩენილია დაქარაგმებული წარწერა ,,გრდტ'', რომელიც იშიფრება, როგორც ,,გურანდუხტ".[24]

ამგვარად, გურანდუხტ დედოფალი რომ X-XI სუკუნეების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურა იყო, ამაზე მეტყველებს თითოეული ლაპიდალური წარწერა, სადაც ისაა მოხსენიებული. დედოფალი უნდა ყოფილიყო გავლენიანი პიროვნება, იგი უზრუნველყოფდა შვილის ლეგიტიმურ უფლებას აფხაზეთის სამეფო ტახტზე, ამის გამოა, რომ საამშენებლო წარწერებში ბაგრატ III დედასთან ერთად იხსენიება. ბაგრატ მეფემ იცის, რომ დედა თუ ეყოლება გვერდით, ვერავინ შეედავება დასავლეთის ტახტზე.

გურანდუხტ დედოფალი არც ისე ძლიერი მმართველი აღმოჩნდა, მან ვერ შეკვეცა შიდა ქართლში აზნაურთა უფლებები, პირიქით ისინი მეტად უკონტროლოები გახდნენ.

ყველაფრის მიუხედავად, დედოფლის დამსახურებაც დიდია იმაში, რომ ბაგრატი III გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა. აფხაზთა მეფის შთამომავალის სტატუსისს გარეშე, ბაგრატს გაუჭირდებოდა ერთიანი საქართველოს მმართველი რომ გამხდარიყო.

მარიამ დედოფალი იყო ქრისტიანობის დამცველი, ის ეკლესია მონასტრებს აშენებდა, მფარველობდა და შესაწირებით ეხმარებოდა.

ზუსტად არ ვიცით, როდის გარდაიცვალა დედოფალი, ზემოთ აღნიშნულ 1001-1008 წლებით დათარიღებულ წარწერით გაირკვა, რომ ამ პერიოდში ის ცოცხალია. სავარაუდოდ, დედოფალი ამის შემდგომ ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო.

[24] იქვე. გვ37.

II თავი

მართა დედოფალი

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში საფუძველი ეყრება ერთიან ქართულ მონარქიას. სწორედ, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე იყო ბაგრატ III. ბაგრატ მეფეზე როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მემატიანეებთან გვაქვს ცნობები დაცული. რაც შეეხება მის თანამეცხედრეს, სამწუხაროდ, მასზე მხოლოდ რამდენიმე წარწერაშია საუბარი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავ. ბაგრატ III-სა და მის მეუღლეს ჰყავდათ ვაჟი–გიორგი I.

თედო ჟორდანია ბაგრატ III-ის ეპოქას მიაწერს ბრეთის ვერცხლის ჯვრის შექმნას. ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ამ ჯვარზე მოთავსებული წარწერა, რომლის შინაარსიც, თედო ჟორდანიას გაშიფვრით ამგვარია: *,,დ(ა)დი(დ)ე ბაგრატ აფხაზთა მეფე, ძეი მეფეთა მეფისა (გურ)გ(ენი)სი. ქრისტე შეიწყალე მართა დედოფალი".*[25] ამგვარად, აღნიშნული წარწერიდან ირკვევა, რომ ბაგრატ მეფის მეუღლეს მართა ერქვა.

საინტერეოა, მეორე წარწერაც, რომელიც მარი ბროსეს ამოუკითხავს გელათის ჯვარზე: *,,ქ˜ე შ˜ე სული მეფისა პანკრატისა და დედოფლისა მართასი და ძე მათი მეფეთა მეფე გიორგი".*[26] აღნიშნული წარწერა კვლავ ადასტურებს მართას დედოფლობის ფაქტს. სამწუხაროდ, მხოლოდ დედოფლის სახელის გარკვევას ვახერხებთ ამ ორი წარწერით. სხვა ხელმოსაჭიდი ცნობა მართას პიროვნებაზე არ გვაქვს.

ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილია წარწერა, რომელიც 1001-1008 წლებით თარიღდება, მასში მოხსენიებულია ბაგრატ მეფე ოჯახით. *,,მეუფეო, მფლობელო ყ(ოვე)ლთა სუფ(ე)ვ(ა)თაო, უმ(ე)ტ(ე)სად ადიდე ძლიერი ბ(ა)გრ(ა)ტ კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტი, აფხ(ა)[ზთა] დ[ა] ქ(ა)რთვ(ე)ლთა მე(ფ)ჱ, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მ(ა)[თ]ით ა(მე)ნ".*[27] სხვა თარიღიანი წარწერა ჩვენ არ

[25] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ151.

[26] იქვე. გვ. 152

[27] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი.II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I(IX-XIII ს.ს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ.სილოგავამ. თბ. 1980. გვ53-54.

მოგვეპოვება, ამის გამო ვერ ვიგებთ, როდის უნდა გარდაიცვლილიყო მართა დედოფალი.

ამგვარად, საქართველოს უმნიშვნელოვანესი მეფის ბაგრატ III-ის მეუღლის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ჩვენთვის საინტერესო დედოფლის მხოლოდ სახელი ვიცით. სამწუხაროდ, მართა დედოფლის წარმომავლობა გაურკვეველია. როგორც წესი, ქართველი მეფეები ადგილობრივი დიდებულების ასულებზე არ ქორწინდებოდნენ, ამის გათვალისწინებით, მართა უცხო ქვეყნიდან უნდა ყოფილიყო. თუმცა რომელი ტერიტორიის მკვიდრი იყო დედოფალი, ეგ საკითხი, ისევე როგორც სხვა, მისი მოღვაწეობის უცნობი დეტალები, ჩვენთვის ბუნდოვნად რჩება.

III თავი

მარიამ არწრუნი

დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებს საქართველოს ისტორიაში უდიდესი ადგილი ეჭირა. არსებობდა ისეთი პერიოდები, როდესაც კონფრონტაციის ნაცვლად ქვეყნის გადარჩენის წინაპირობა მხოლოდ შეთანხმება-მოლაპარაკებები იყო. ხშირად ასეთ პოლიტიკურ ნაბიჯებს ქართველი დედოფლები ხელმძღვანელობდნენ. თითოეულ მათგანს აერთიანებდა შვილებისადმი საოცარი ერთგულება და ლტოლვა იმისა, რომ უფლისწულებს ურყევი უმაღლესი სამეფო სტატუსი ჰქონოდათ. ქართველი მეფეები უმეტესად პოლიტიკური მიზნით ქორწინდებოდნენ, რათა შემოერიგებინათ რომელიმე სახელმწიფო, ან გაეძლიერებნათ თავიანთი გავლენა. ასე გახდნენ უცხოელი პრინცესები ქართველი დედოფლები. როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა, დედოფლები მეფეების თანამმართველებიც იყვნენ.

პოლიტიკოს დედოფლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა მარიამ არწრუნი, მეფე გიორგი I-ის მეუღლე. მათ ჰყავდათ ოთხი შვილი: ბაგრატი, გურანდუხტი, კატა და მართა, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა.[28] დედოფალი მარიამი იყო ვასპურაკანის მეფის, სენექერიმ II არწრუნის ასული. გიორგი I-ის გარდაცვალების (1027 წ.) შემდეგ, საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ცხრა წლის ბაგრატ IV. მარიამ დედოფალი გვერდით ამოუდგა თავის მცირეწლოვან შვილს და მასთან ერთად გაინაწილა სამეფოს მართვის მთელი სიმძიმე.

XI საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე შემდეგი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები იდგა: ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე.[29] ქვეყანას უნდა მოეხდინა მართებული ლავირება, რომ არ გამხდარიყო სხვა დამპყრობლის მორჩილი.

---

[28] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 278

[29] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 173.

საქართველოს სამეფო კარმა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირება მიანდო ბაგრატ IV-ის დედას, მარიამ დედოფალს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბაგრატის მცირეწლოვნების ჟამს ის ასრულებდა მეფის რეგენტის ფუნქციას. მარიამ არწრუნი რომანოზ არგვიროსის იმპერატორობის მესამე წელს, დიპლომატიური მისიით გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. მართალია, მემატიანეები ამ ელჩობის თარიღს არ უთითებენ, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ის 1030-1031 წლებში უნდა მომხდარიყო.

მარიამ დედოფლის პიროვნების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მცირე ცნობები მოგვეპოვება. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორები გვაწვდიან ინფორმაციას მისი კონსტანტინოპოლში ელჩობის შესახებ. მარიამ არწრუნი უნდა ყოფილიყო განათლებული პიროვნება და მოქნილი პოლიტიკოსი, ის შემკობილი იქნებოდა დიპლომატისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. სხვა შემთხვევაში, ასეთ საპასუხისმგებლო მისიას მას არ მიანდობდნენ.

მარიამის ვიზიტს ადასტურებს ,,მატიანე ქართლისაჲს" უცნობი ავტორი და დასძენს: *,, ამისა წელსა მესამესა წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თვისისა... და მოყვანებისათვს ძის ცოლისა. და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი დათხოველი სიხარულით: მისცა ფიცი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვს, დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისთვს ელენე დედოფალ".*[30]

სუმბატ დავითის ძეც, თავის თხზულებაში საუბრობს კონსტანტინოპოლში მარიამ დედოფლის ვიზიტზე: *,,ამისა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმხნე და ახოვანებაი, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა/მეფეთა არშაკუნიანთა, და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფესა ვედრებად მისა, რაითა მშვდობა ყოს*

[30] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ 294.

აღმოსავლთისათვს და რაითა არღარა იყოს ბრძოლაი ბერძ/ენთა და ქართველთაი, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რაითა მიუთხრეს პატივი ძესა თვსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახლისა[მათისა]“[31]

გიორგი კედრენე კი აღნიშნავს: *,,ამასობაში ავადმყოფობისგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს. მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე, თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი, აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ. ხოლო ბაგრატი კურაპალატის წოდებაში აღაზევა.“*[32]

საინტერესოა, რომ ქართველ მემატიანეებთან დიპლომატიური ვიზიტის მეთაურად დედოფალი მარიამია დასახელებული, ხოლო უცხოელი ავტორი, კედრენე იმავეს არ გვიდასტურებს. გიორგი კედრენეს ცნობით, არა უშუალოდ დედოფალი, არამედ მისი ელჩები იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლში. ვფიქრობ, ქართველი მემატიანეების ცნობები უფრო გასათვალისწინებელია და დედოფალი მარიამ არწრუნი ნამდვილად უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლში.

ამგვარად, კონსტანტინოპოლში ქართველთა ელჩობის მიზნად, ძირითადად, სამი საკითხია დასახელებული:

1. საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობის მიღწევა, ანუ ზავის დადება.

2. ბაგრატ მეფისათვის კურაპალატის ტიტულის მოპოვება.

3. ბაგრატის დანათესავება ბიზანტიასთან, პოლიტიკური ქორწინების გზით.

ჯაბა სამუშიას აზრით, რომელსაც ვიზიარებ, საქართველო-ბიზანტიას შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვარდებოდა მშვიდობა, თუ მოგვარდებოდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის საკითხი, იმიერტაოს პრობლემა, დემეტრე კლარჯის პრეტენზიები, აგრეთვე ტაოს ეკლესიისა და მისი მღვდელმთავრის პრობლემაც. [33]

---

[31] სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. გამოსცა მ.ლორთქიფანიძემ. ქართლოის ცხოვრება. თბ. 2008. გვ375.

[32] კედრენე გ. გეორგიკა. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. V. თბ. 1963. გვ. 55.

[33] ქართული დიპლომატია წელიწდეული. IX წიგნი. თბ. 2002.გვ. 636.

სავარაუდოდ, აღნიშნული საკითხებიც უნდა განხილულიყო ქვეყნებს შორის მოლაპარაკებისას. ალბათ, მეტნაკლებად ორივე მხარემ თავისი ინტერესები დაიკმაყოფილა და შეთანხმებაც შედგა.

კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებული ელჩობა ამიერტაოსკენ გაემართა, ბანაში შედგა ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიელი პრინცესას, ელენეს, ქორწილი. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მარიამ დედოფლის ელჩობა ნაყოფიერი გამოდგა საქართველოსთვის. მან ქვეყანას მოუტანა დროებითი მშვიდობა, რაც საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდებოდა.

მარიამ დედოფლის პიროვნება საინტერესოდ და ახლებურ ჭრილში აქვს გაშუქებული ზურაბ პაპასქირს. ავტორს დედოფალი თავისი მეუღლის, გიორგი I -ის პოლიტიკის მოწინააღმდეგედ ჰყავს წარმოჩენილი. ,,*მარიამ დედოფალი მოვიდა თუ არა ქვეყნის სათავეში, ბიზანტიასთან დაამყარა ისეთი ურთიერთობა რომლის წინააღმდეგაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა გიორგი I. შესაძლებელია, საქართველოს დედოფლის ეს ნაბიჯი იძულებითი ყოფილიყო, მაგრამ არაა გამორიცხული, მარიამის ელჩობა გარკვეული პრობიზანტიული წრეების პოლიტიკური კურსის რეალიზაციად მივიჩნიოთ“.*[34]

ავტორის აზრით, საქართველოს მეფესა და მის მეუღლეს შორის ოჯახური კონფლიქტი, სწორედ, აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია. ანუ, ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს არ აწყობდა პრობიზანტიურად განწყობილი დედოფლის ყოფნა ტახტზე. ამიტომ გადაწყვიტა, ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინება და პირველი მეუღლის გზიდან ჩამოცილება.[35]

ვფიქრობ, საქმე მხოლოდ მარიამ არწრუნის პრობიზანტიურ მიმართულებაში არაა. როგორც ცნობილია, 1022 წელს ბასილი კეისარმა გააუქმა ვასპურაკანის სომხური სამეფო

[34] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ, 1990, გვ. 152

[35] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990,. გვ. 153.

და მისი მეფე, მარიამის მამა, სენექერიმ არწრუნი ბიზანტიელ ფეოდალად აქცია.[36] ასეთ რთულ ვითარებაში, ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლმა გიორგი I -მა დაკარგა მოკავშირე, სიმამრი. სხვა გზა არ იყო, მეფეს უნდა მოეძებნა ახალი დასაყრდენი ძალა თავისი პოლიტიკის განხორციელებისათვის და ასეთად მიიჩნია ოვსთა მეფე, რომლის ქალიშვილზეც იქორწინა.

მარიამ არწრუნი დიდი გავლენით სარგებლობდა საეკლესიო პირებს შორისაც. მას კათოლიკოს პატრიარქი-მელქისედეკი უჭერდა მხარს. შეიძლება ორივე მართლაც პრობიზანტიური განწყობის ყოფილიყვნენ. შესაძლოა, მარიამ დედოფალს კონსტანტინოპოლში ელჩობისას მელქისედეკიც თან ახლდა. იაჰია ანტიოქიელი დასძენს: *,,და მოვიდნენ ქალაქ კონსტანტინოპოლს-დედამისი სანახაბირის ასული, კათალიკოსი ე.ი. ჯასალიკი, რომელიც მათი სამღვდელოების მეთაურია და ჯგუფი მათი მთავრებისა, დადეს ეს (ხელშეკრულება) წაიყვანეს სარძლო მის მეუღლესთან ბაგრატთან და მოწესრიგდა ვითარება ბიზანტიელებსა და აბხაზებს შორის".*[37] მხოლოდ აღნიშნულ არაბ ისტორიკოსთან არიან დასახელებულნი ელჩობის შემადგენელი პირები. ვფიქრობ, ეს ცნობა მართლაც გასათვალისწინებელი და სანდო უნდა იყოს.

1021 წელს ანისის მეფე ივანე-სუმბატმა და ბიზანტიის კეისარ ბასილი II-ის იძულებით დაწერა ანდერძი, რომლის მიხედითაც, მისი სიკვდილის შემდეგ ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიას შეუერთდებოდა.[38] ანისის ახალი მეფე, გაგიკ II არ აპირებდა თავისი სამფლობელოს ბიზანტიასთან შეერთებას. ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე IX-ს კი გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ტერიტორიის დაპყრობა. კონსტანტინე IX-მ განიზრახა გაგიკ II-ის კონსტანტინოპოლში მიწვევა მოტყუებით, ვითომ ანისის საკითხის მოსაგვარებლად. იმპერატორს კი ამით განზრახული ჰქონდა გაგიკ II-ის შეპყრობა და ანისის იზოლირება.[39] იმპერატორმა მართლაც, შეიპყრო ანისი მეფე, თუმცა ანისელები არ დანებდნენ ბიზანტიას და ყველანაირ ღონეს ხმარობდნენ ქვეყნის დასაცავად. ანისში

[36]კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ. 105.

[37] ქართული დიპლომატია წელიწდეული, IX წიგნი, თბილისი, 2002, გვ.628.

[38] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ. 106-107

[39] სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I. თბ. 1999. გვ 90-91

მყოფმა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა გადაწყვიტეს, ქვეყნის გარეშე პირისათვის ჩაებარებინათ ქალაქი. არჩევანი შეჩერდა საქართველოზე, რადგან იმ პერიოდში შედარებით ძლიერი სახელმწიფო იყო ამიერკავკასიაში, რომელიც ბიზანტიას ეწინააღმდეგებოდა.

ამის გამო, XI საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში მარიამ არწრუნი კვლავ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშია. [40] რაც გამოიხატა იმაში, რომ ანისის კონფლიქტის დროს ანისელებმა მარიამ დედოფალს ჩააბარეს ქვეყანა: *,,მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისადთა თჳნიერ ამბერდისა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის/დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი-სენექერემ სომეხთა მეფის ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედად".*[41]

სამწუხაროდ, მემატიანეები არაფერს ამბობენ თუ რა მოიმოქმედა საქართველოს სამეფო კარმა ანისში. ან რა ბრძოლები ჩატარდა ბიზანტიის წინააღმდეგ. ცალსახაა, რომ ანისის ჩაბარებით საქართველო ხელსაყრელ მდგომარეობაში მოექცა. სწორედ აღნიშნული ფაქტის შემდგომ დაიწყო ბრძოლა საქართველოს სამეფო კარმა ანაკოფიის ციხე-სიმაგრის განთავისუფლებისათვის, რომელიც ბაგრატ IV-ის ნახევარძმამ, დემეტრე უფლისწულმა, ჩააბარა ბიზანტიელებს.[42]

სომეხთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მარიამ დედოფალი. *,,საქართველოში გადედოფლების შემდეგ მარიამ დედოფალს არ შეუწყვეტია კაშირი თავის სამშობლოსთან,ის სომხეთის კუტურის მოჭირნახულეა. იგი იყო ერთ-ერთი მშენებელი მარმაშენის სამონასტრო კომპლექსისა ცნობილ სომეხ პატრიოტთან, გამოჩენილ სარდალთან ვაჰრამ პაჰლავუნისთან ერთად. იბნ-ალ ასირი ამ კომპლექსს ქალაქ მარიამ ნეშინს(მარიამის რეზიდენციას) უწოდებს. თავად მონასტერზე გაკეთებულ წარწერაში კი მარიამი თავის თავს ,,აფხაზთა და სომეხთა დედოფალს'' უწოდებს".*[43] აღნიშნული წარერა 1033 წლითაა დათარიღებული და მისი შინაარსი ამგვარია: *,,მე,*

---

[40] მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ34

[41] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 283.

[42] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ. 209-210.

[43] . სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წიგნი I. თბ.1999, გვ. 94.

მარიამმა, აფხაზთა და სომეხთა დედოფალმა, ქალიშვილმა დიდი სენექერიმისმა, და შვილიშვილმა სომეხთა მეფე გაგიკისა, მივეცი ტარუსს, წმინდა მარმაშენის ძმობას, წინამძღვრობასა მამა სოსთენისა ჩემი პაპის-გაგიკი ცოდვათა მიტევებისათვის და ჩემ კატას".[44]

1045 წელს ანისი ბიზანტიელებმა აიღეს და იქ საქართველოს დედოფლის მმართველობაც ამით ამოიწურა.[45]

კლდეკარის ერისთავთან, ლიპარიტ IV ბაღვაშთან კონფლიქტის გამო ბაგრატ IV იძულებული გახდა ბიზანტიაში გამგზავრებულიყო. მარიამ დედოფალი, როგორც გავლენიანი ფიგურა, ასევე ბიზანტიურ დიპლომატიაში კარგად გარკვეული, შვილს თან გაჰყვა. თედო ჟორდანია თავის ქრონიკებში დასძენს, რომ ბაგრატ მეფე ბიზანტიაში უნდა წასულიყო 1050 წლის ბოლოსა და 1051 წლის დასაწყისში, ბიზანტიელთა ისტორიით 1048, ხოლო მარი ბროსეს გამოანგარიშებით 1050 წელს.[46] დედა-შვილს იმპერატორის კარზე სამ წლამდე მოუწიათ დარჩენა. საქართელოს საკითხი შინაური ანარქიის გამო ჭიანურდებოდა. მათი იქ ყოფნის დროს, სამი იმპერატორი გამოიცვალა: კონსტანტინე მონომახი, თეოდორა დედოფალი და მიხეილ VI. საქართველოს კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარიამ დედოფლის ვიზიტს კონსტანტინოპოლში. ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის ბიზანტიაში ჩასვლაზე და იქ ყოფნაზე გვიამბობს გიორგი მცირე თავის ნაშრომში ,,ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაი". ავტორი წერს: *,,მას ჟამსა , ოდეს აფხაზთა მეფე და დედაჲ მისი მარიამ დედოფალი სამეუფოდ ქალაქად მოვიდეს,/აღვიდა წმიდაჲცა ესე მამაჲ ჩვენი წინაშე ღმრთის-მსახურთა მათ მეფეთა. და იხილეს რაჲ მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა, განიხარეს სიხარულითა დიდითა".*[47] როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა, მარიამ დედოფალი დაუახლოვდა, ,,დაემოწაფა"

---

[44] დარჩიაშვილი შ. სომხური ლაპიდარული წარწერები და ,,მატიანე ქართლისას" ერთი ცნობა. თსუ შრომები. ტ. 227. თბ.1982 . გვ. 69; სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წიგნი I. თბ.1999, გვ. 94.

[45] მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ. 36.

[46] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ.198.

[47] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.ლოლაშვილმა. თბ. 1994. გვ. 201.

გიორგი მთაწმინდელს. დედოფალი *,,იკურთხა მის მიერ სქემითა“,*[48] ანუ მონაზვნად შედგა კონსტანტინოპოლში, გიორგი მთაწმინდელის კურთხევით. მარიამ დედოფალმა საგანგებოდ *,,გამოითხოვა მონომახისაგან ლიტრაჲ ერთი როქად წმიდისა მის ითხოვა მონომახისაგან ლიტრაჲ ესე საუკუნოდ საჴსენებლად სულისა თჳსისავთს წმიდასა ამას ეკლესიასა“.* [49] მარიამ დედოფალი განსაკუთრებით ზრუნავდა უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი. ათონის ქართველთა მონასტრისადმი გაწეული დახმარების გამო, მას დაუწესეს მოსახსენიებელი აღაპი.

ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში ვკითხულობთ: *,,აღაპი განწესებულია 15 აგვისტოს მარიამ დედოფლის, ბაგრატ IV კურაპალატის დედისათვის, ქართველთა მონასტრისათვის ლიტრა სოლმინის შექმნის გამო ,,ბერძენთა მეფისაგან (კონსტანტინე მონომახისაგან) სალოცველად და სახსენებლად მისდა(მარიამისდა) საუკუნოდ“.* [50] *,,კონსტანტინოპოლში ჩასული ბაგრატ მეფე, მისი დედა, მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი ზრუნავდნენ ეკონომიკურად დაუძლურებული მონასტრის მოღონიერებაზე. ამ საქმეში მათ მხარში ედგნენ ძმები პატრიკი და იოანე“.*[51]

მარიამ დედოფალს განზრახული ჰქონდა იერუსალიმის მოლოცვა, ამის გამო ის ანტიოქიაში ჩავიდა, რათა პატრიარქისგან და ადგილობრივი მმართველისგან მიეღო თანხმობა. ამ პერიოდში რთული ვითარება იყო იერუსალიმში. სარკინოზების გამო ქრისტიანებისთვის საშიში იყო წმინდა მიწაზე სტუმრობა. ანტიოქიის პატრიარქმა გიორგი მთაწმინდელის შუამდგომლობით დედოფალს მოახრენა რომ საშიში იყო წმინდა მიწის მოლოცვა და ის ,,წარსვლისაგან დაახრწიეს''. [52] დედოფალი შეწუხდა შექმნილი ვითარებით, თუმცა უფლის განგებას წინ ვერ აღუდგა. ის შეევედრა გიორგი მთაწმინდელს, რადგან თვითონ ვერ მიდიოდა იერუსალიმში, ბერი წასულიყო იქ და წაეღო საფასე. რომელსაც დაურიგებდა გლახაკებს, დავრდომილებს და წმინდა

[48] იქვე, გვ201.
[49] იქვე, გვ 201.
[50] მეტრეველი ე. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998. გვ.237
[51] იქვე, გვ199.
[52] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.ლოლაშვილმა. თბ. 1994. გვ. 208.

მონასტრების.[53] გიორგი მთაწმინდელი დასთანხმდა დედოფალს და ,,*მოწაფისა თანა ერთისა წარემართა წმიდად ქალაქად მშვიდობით და უვნებელად მიიწია, და წმიდანი იგი ადგილნი მოილოცნა, და წმიდათა მამათა ლოცვაი მიიღო და საფასე იგი წარცემული ყოველთა ნაკლულევანთა და უღონოთა უხუებით განუყო. და ნეტარი მამაი პროხორე მაშინ ოდენ ჯუარის მონასტერსა აენებდა. ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია".*[54]

ბაგრატ მეფისა და მარიამ დედოფლის დიდი დიპლომატიური წარმატება იყო, რომ თეოდორა დედოფალმა ბაგრატს ასული სთხოვა, რათა შვილად აღეზარდა, მართლაც, გაიგზავნა კონსტინოპოლში მართა (მარიამი). სამწუხაროდ, პრინცესას ჩასვლისთანავე თეოდორა აღესრულა. გიორგი მცირეს თხზულებაში ვკითხულობთ, რომ პრინცესა მართას ჩასვლისას დედოფალი მარიამი და გიორგი მთაწმინდელი კონსანტინოპილში იმყოფებოდნენ. სწორედ, მაშინ უწინასწარმეტყველა ბერმა მართას, რომ ბიზანტიის დედოფალი გახდებოდა: *,,დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა".*[55]

მარიამ დედოფალის კონსტანტინოპოლიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ მის მოღვაწეობაზე ცნობები აღარ მოგვეპოვება. როდესაც თურქ-სელჩუკები საქართველოში შემოიჭრნენ, ბაგრატ IV თავისი შვილით, დედითა და დით ტაოდან ბრუნდებოდა მათ ხერკრებულთან სულთნის ჯარები დაეწივნენ და ისინი ძლივს გარაურჩნენ ტყვეობას.[56]

მარი ბროსეს გამოწერილ ზედათმოგვის წარწერას თედო ჟორდანია ამგვარად კითხულობს: *,,ქ~ე იჭსო მეუფეო დიდებისაო, ადიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი.- იჭსო სული ქ~ე შ~ე ფარსმან ერისთავთ-ერისთავისა ივანეს ძისა ჭიმჭიმისა".*[57]

მარიამ არწრუნი ცოცხალი იყო, 1072 წელს როდესაც გარდაიცვალა მისი ვაჟი ბაგრატ IV, რომლის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებსაც კარგად აღწერს მატიანე ქართლისაის ავტორი: *„მოიყვანეს ქართლს მეფე, და ყოველნი დიდებულნი მისნი მუნ*

---

[53] იქვე, გვ208.
[54] იქვე, 208-209.
[55] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.ლოლაშვილმა. თბ. 1994. გვ. 206
[56] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ 289.
[57] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ. 206-207.

მოვიდეს. და მოვიდა დედაი მისი მარიამ დედოფალი და ცოლი მისი ბორენა და ასული მისი მარიამ. და შემდგომად მცირედთა დღეთა მიათუალა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოისათა, და ყოველნი შეჰვედრნა მას და ჰრქუა დედასა თუსსა: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგუქციენ წინადა ევრეთოღა შენ მოჰკუდები“. და შემდგომად ამისსა მიიცვალა თუესა ნოემბერსა ოცდაოთხსა, ქრონიკონსა ორას ოთხმოცდათორმეტსა“.[58]

ჩვენ არ ვიცით დედოფლის ზუსტი გარდაცვალების თარღი და მისი შემდგომი მოღვაწეობის შესახებაც ცნობები არ გვაქვს. სავარაუდოდ, მონაზნად აღკვეცილი რომელიმე დედათა მონასტერში დამკვიდრდა. 1104 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ,,ძეგლისწერაში“ დედოფალი გარდაცვალებულად იხსენიება: *,,წმიდისა დედოფლისა და ღმრთივ სულიერისა დედისა ჩუენისა/მარიამ მონაზონისა საუკუნომცა არის ჴსენებაჲ“.* [59] მარიამი მისაბაძი გახდა შემდეგში დედოფლებისათვისაც. მისი კულტურული მოღვაწეობა მართლაც, რომ ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის.

ამგვარად, მარიამ არწრუნი, მართლაც, XI საუკუნის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოღვაწე იყო. სამწუხაროა, რომ მის პიროვნებასა და ღვაწლზე მეტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. შევეცადე, ჩემს ხელთ არსებულ წყაროთა შეჯერებით წამომეჩინა მარიამ დედოფლის მოღვაწეობა.

ის იყო ძლიერი პიროვნება, რომელმაც ფეოდალიზმის პერიოდში შეძლო, გამხდარიყო საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვნესი ფიგურა და დიპლომატიური მოლაპარაკებების მეთაური. იმის მიუხედავად, რომ დედოფალმა თავისი ქმრის პოლიტიკურ კურსს გადაუხვია და ბიზანტიასთან კონფრონტაციას მოლაპარაკება არჩია, მაინც დადებით პიროვნებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მარიამ არწრუნის ეს ნაბიჯი შეიძლება იმით გავამართლოთ, რომ საქართველო გადაღლილი იყო ომებით, არც

[58] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 296.

[59] დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ.ნინუამ. თბ.1975. გვ. 558; მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ. 38.

ქვეყნის შიგნით ჰქონდა სტაბილურობა და სჭირდებოდა დროებით შესვენება და ძალების მოკრება. მან თავისი შვილის გადარჩენისათვის ეს ნაბიჯი ჩათვალა პრიორიტეტად.

კარგი პოლიტიკოსის გარდა, მარიამ არწრუნი იყო საუკეთესო დედა. ის თავდაუზოგავად ზრუნავდა ბაგრატ IV-ის ტახტის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის. უკანასკნელ წუთებამდე არ უღალატია მეფისათვის და მის გამო შვილებისა და სამშობლოსგან შორს ყოფნასაც არ უშინდებოდა.

მარიამ დედოფალი ზრუნავდა კულტურაზეც, იყო ქრისტიანობის დამცველი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ის ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, მფარველობდა და შესაწირებით ეხმარებოდა.

IV თავი

ალდე დედოფალი

საქართველოს მეფეები, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნით ქორწინდებოდნენ. ეს იყო ახალი მოკავშირის გაჩენის ერთ-ერთი გზა. გიორგი I-ს მარიამ არწრუნის შემდეგ ჰყავდა მეორე მეუღლე, რომლის სახელი მხოლოდ იოანე სკილიცეს კომპილატორთან, გიორგი კედრენესთან არის შემორჩენილი. ახალი დედოფალი ჩრდილოელი მეზობლის, ოსთა მეფის ასული იყო, რომელსაც ალდე ერქვა.

როგორც ცნობილია, გიორგი I მთელი თავისი სიცოცხლის მანზილზე იბრძოდა ბიზანტიელების წინააღმდეგ. მართალია, 1022 წელს ბიზანტია- საქართველოს შორის ზავი დაიდო, თუმცა მეფე მაინც ცდილობდა კოალიციის შექმნას მტრის წინააღმდეგ.

,,იმპერატორმა ბასილი მეორემ 1022 წელს აიძულა სენექერიმ არწრუნი მთელი ვასპურაკანი ბიზანტიის იმპერიისათვის გადაეცა, რომლის მაგივრად მცირე სომხეთში მემკვიდრეობით მისცეს მას ქალაქი სევასტია თავისი მიდამოებით“. [60] ამგვარად, ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლმა გიორგი I-მა დაკარგა მოკავშირე, სიმამრი. სხვა გზა არ იყო, მეფეს უნდა მოეძებნა ახალი დასაყრდენი ძალა თავისი პოლიტიკის განხორციელებისათვის და ასეთად მიიჩნია ოვსთა მეფე, რომლის ქალიშვილზეც იქორწინა.

,,ნიკიფორე კომნენოსის შეთქმულება გამომჟღავნდა 1026 წლის ივნისში, ე.ი. გიორგისა და ნიკიფორეს შორის მოლაპარაკება ერთობლივი მოქმედების შესახებ გაცილებით ადრე იარსებებდა. იქნებ ალდესთან შეუღლება და ამით ოსეთის ძალების გამოყენების ცდაც ამ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო? ჩვენი აზრით, გიორგი I-ისა და ნიკიფორე კომნენოსის კავშირი და გიორგისა და ალდეს ქორწინება ერთ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული... ალდე დედოფლისა და გიორგი I-ის ქორწინება 1026 წლის

[60] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ105.

პირველ ნახევარში უნდა მოხდარიყო (უფრო სავარაუდოა 1026 წლის დასაწყისი), კომნენოსის შეთქმულების გამჟღავნებამდე ცოტა ხნით ადრე.“ [61]

ამგვარად, ოსეთთან დამოყვრებით საქართველომ გაიჩინა ახალი მოკავშირე ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსები იმ დროისათვის წარმოადგენდნენ ძლიერ დასაყრდენ ძალას, რომლებთანაც საქართველოს დიდი ხნის ახლო კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა. [62]

ალდესა და გიორგი I-ის ქორწინება რომ კანონიერი იყო, ამაზე მოწმობს ,,მატიანე ქართლისაის'' ცნობა: *,, ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტ და კატა; მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებულ იყო.“* [63] როგორც ვიცით, ალდესა და გიორგი I-ს შეეძინათ ვაჟი, დემეტრე უფლისწული. ის რომ მეფის არაკანონიერი მემკვიდრე ყოფილიყო, მემატიანე მას სხვა შვილების გვერდით არ მოიხსენიებდა. როგორც ჩანს, გიორგი I-მა ვერ მოახერხა ალდეს გადედოფლება. *,, დავით აღმაშენებლისგან განსხვავებით, გიორგი I-ს არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ მიეღწია ოვსთა მეფის ასულთან თავისი ქორწინების იურიდიული გაფორმებისათვის. საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოსი და მისი წრე წინ აღუდგებოდნენ მეფის ამგვარ განზრახვას, რადგან ისინი, როგორც მიგვაჩნია, საერთოდ ადგნენ პრობიზანტიურ ორიენტაციას.“* [64] როგორც ზურაბ პაპასქირი მიიჩნევს, მელქისედეკ კათალიკოსი და მარიამ დედოფალი პრობიზანტიური ორიენტაციის მომხრეები იყვნენ.

გიორგი I მეორედ ქორწინებიდან მალევე, 1027 წელს გარდაიცვალა. მას არ დასცალდა ახალი ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. სამეფო ტახტი მარიამ დედოფლის ვაჟმა, 9 წლის ბაგრატ IV-მ დაიკავა. ფაქტობრივად, მცირეწლოვან შვილთან ერთად საქართველოს მარიამ არწრუნი მართავდა. საინტერესოა, რა ბედი ეწიათ გიორგი I-ის მეორე მეუღლეს ალდესა და მათ ვაჟს დემეტრეს?! მემატიანე ალდესა და

---

[61]სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I. თბ. 1999. გვ.65.

[62] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 141

[63] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 278.

[64] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 153

დემეტრეზე საუბარს მას შემდეგ იწყებს, რაც დასძენს , რომ ბაგრატ IV-ის პირველი მეუღლე ელენე, ქორწილიდან მალევე გარდაიცვალა და მეფემ მეორე ცოლად ოვსთა მეფის დორღოლენის და, ბორენა შეირთო...[65] ,,მატიანე ქართლისას" უცნობი ავტორი განაგრძობს: *,,და ამასა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა ოვსთა მეფისა ასულსა- მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი და ყრმაი მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცაღა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოისათა. და ვერღარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოისა მისგან და მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია. და მიერითგან წარუხდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქაჟამამდე."*[66]

ბიზანტიელი ისტორიკოსიც გვიდასტურებს, რომ დედოფალმა და უფლისწულმა იმპერატორს ანაკოფია გადასცეს: *,,მაშინ გიორგი აფხაზის მეუღლე ალდე, ტომით ალანი, მიემხრო მეფეს და გადასცა მას უმტკიცესი ციხე ანკუფე; მის ვაჟს მეფემ უბოძა მაგისტროსის პატივი"*[67] . ეს ამბავი, ანაკოფიის ციხის გადაცემა და დემეტრე უფლისწულისათვის მაგისტროსის ტიტულის მინიჭება უნდა მომხდარიყო 1033 წელს. ლერი თავაძე იოანე სკილიცეს ცნობაზე დაყრდნობით, 1033 წლით ათარიღებს ამ მოვლენებს.[68] ხოლო ივანე ჯავახიშვილი ანაკოფიის ციხის გადაცემას 1032 წლებით ათარიღებდა[69]

ზემოთ აღწერილ მოვლენებთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი დასძენს, რომ აზნაურები შეუჩნდნენ დემეტრე უფლისწულს და უნდოდათ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ აემხედრებინათ, თავის მხრივ ბაგრატიც ცდილობდა საქმე დემეტრესთან შეთანხმებით

---

[65] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 280.

[66] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 280.

[67] კედრენე გ. გეორგიკა. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. V. თბ. 1963. გვ. 58.

[68] თავაძე ლ. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ.2016. გვ. 139.

[69] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 2012. გვ. 141.

მოეგვარებინა, თუმცა უფლისწული ნახევარძმას არ ენდობოდა და რადგან თავის წადილს ვერ მიაღწია, ბიზანტიელებს გადასცა ანაკოფიის ციხე.[70]

ჯაბა სამუშიას აზრით, *,,სამეფო კარმა საგანგებოდ შექმნა ანაკოფიის გარშემო პოლიტიკური ატმოსფერო, რომელმაც აიძულა ციხეში მყოფნი, 1033 წლისთვის ბიზანტიას წასულიყვნენ“.* [71]

ვფიქრობ, ალდე დედოფალი იმპერატორ რომანოზ III-ს უკიდურეს შემთხვევამდე არ გადასცემდა ანაკოფიის ციხეს. დედოფალს რომ თავიდანვე ამ ნაბიჯის გადადგმა ჰქონოდა განზრახული, ქმრის სიკვდილიდან მალევე მოიქცეოდა მსგავსად. ალდე ციხეს ბიზანტიელებს მხოლოდ მას შემდეგ, გადასცემს, რაც ბორენა ხდება ბაგრატ მეფის თანამეცხედრე. ალდემ ამ ნაბიჯით შვილის უსაფრთხოება უზრუნველყო. მართალია, ეს უმნიშვნელოვანესი ციხე 40 წლით დაკარგა საქართველომ, თუმცა ამ მოვლენის მეორე მხარეზე ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი დგანან. მათ ალდეს ჩამაოშორეს მოკავშირეები ოსების სახით. როდესაც ბაგრატმა ოვს ბორენაზე იქორწინა, ამით დიპლომატიური კავშირი დამყარდა საქართველო-ოსეთს შორის. ეს ურთიერთობა კი უნდა ყოფილიყო იმისი გარანტი, რომ ალდე და დემეტრე დაკარგავდნენ დასაყრდენს ოსებს შორის. მოკავშირეების გარეშე დარჩენილი უფლისწული კი საბოლოოდ უარს იტყოდა მეფობაზე.

ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ III-მ არ დაიშურა დემეტრე უფლისწულისათვის მაგისტროსის ტიტული და არც თავშესაფარი. ბიზანტიის სამეფო კარმა იცოდა როგორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო დემეტრე უფლისწული, რომლის გამოყენებაც ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ უპრობლემოდ შეიძლებოდა. მემატიანეები არ გვინახავენ ცნობებს ანაკოფიის სანაცვლოდ მამულები მიიღო თუ არა დედა-შვილმა ბიზანტიაში. როგორც ლერი თავაძე ფიქრობს, *,,მაგისტროსის შემოსავალი კონსტანტინოპილში კარგად ცხოვრებისთვის საკმარისი იყო. სავარაუდოდ, დედა-შვილისათვის უნდა გამოეყოთ საცხოვრებელიც, რაც აუცილებელი იყო მათი მრავალრიცხოვანი მსახურული*

[70] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 2012. გვ. 129
[71] სამუშია ჯ. ბაგრატ IV. თბ. 2018. გვ.55

ფენისათვის, რომლებიც მათ საქართველოდან გამოყვებოდათ.“ [72] ჯაბა სამუშიაც მსგავს მოსაზრებას იზიარებს და დასძენს: *,,ამ ტიტულთან ერთად და ანაკოფიის ციხის კომპენსაციისათვის იმპერატორი სათანადო მამულებსაც უბოძებდა ემიგრანტ დედოფალსა და ქართველ უფლისწულს“* [73]

ბიზანტიაში მყოფი დემეტრე უფლისწული პირველად საქართველოში ლიპარიტ IV ბაღვაშის იცინიატივით, გასამეფებლად ჩამოდის, *,,შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმაი ბაგატისი. საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა“.*[74] ბაგრატ IV-სთან დაპირისპირებულმა ლიპარიტ IV-მ განიზრახა მისი ძმის გამეფება და ბიზანტიისაგან გამოიწვია უფლისწული, იმპერატორის ჯართან ერთად. მალევე მეფე და დიდებული დაზავდნენ, შეთანხმების მიხედვით კი, ბაღვაშს ქართლის ერისთავობა უნდა მიეღო და დემეტრე ბიზანტიაში დაებრუნებინა.

საქართველოში დემეტრეს მეორე გამოჩენა კვლავ ლიპარიტ IV-ს პატრონაჟის ქვეშ ხდება, დაახლოებით 1046 წელს. *,,და ლიპარიტ გამოიყვანა ახლად დემეტრე, ძმაი ბაგრატ მეფისაი. ბერძენთა მეფის განძი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს დაა რომელნიმე დარჩეს ბაგრატისა ერთგულებასა შინა“.* [75] ამ ცნობიდან ირკვევა, რომ დემეტრე საქართველოში პოპულარობით სარგებლობდა და მას მომხრეებიც მრავლად ჰყავდა.

ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ IV-ის დაპირისპირება სასირეთის ჭალასთან მომხდარ ბრძოლაში ერისთავის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდგომ კი მემატიანე გვამცნობს: *,,და ამისა პირველ მომკუდარ იყო ძმაი ბაგრატისი,დემეტრე“.*[76]

ამგვარად, საქართველოში დემეტრე უფლისწულის ორივე ვიზიტი, რომლის მიზანიც იყო მაგისტროსის გამეფება, წარუმატებელი აღმოჩნდა. მემატიანეები არ გვაწვდიან ცნობებს კონსტანტინოპოლში ალდე დედოფლის მოღვაწეობის შესახებ, ან რა როლი მიუძღოდა მას შვილის საქართველოში გამომგზავრებებისას, ან იყო კი ის ამ

---

[72] თავაძე ლ. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ.2016. გვ 139.

[73] სამუშია ჯ. ბაგრატ IV. თბ. 2018. გვ. 55.

[74] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 282.

[75] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 282.

[76] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 285.

დროს ცოცხალი? ისიც არ ვიცით როდის და რა ვითარებაში გარდაიცვალა იგი. 1033 წლის შემდეგ, როდესაც ალდე ანაკოფიას ბიზანტიელებს გადასცემს და საცხოვრებლად კონსტანტინოპოლში მიდის, მასზე არანაირი ცნობები აღარ მოგვეპოვება.

ვახუშტი ბატონიშილთან დაცული ცნობის მიხედვით, ირკვევა, რომ დემეტრე უფლისწულს დარჩა ძე. ბიზანტიაში შექმნილი მძიმე ვითარებების გამო, ის თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გარდაიცვალა. დემეტრეს შთამომავლები აარსებენ ოს ბაგრატიონთა შტოს, რომლის ღირსეული წარმომადგენელი, დავით სოსლანი, შემდეგ საუკუნეში ხდება თამარ მეფის მეუღლე.[77]

მაშასადამე, გიორგი I-ისა და ალდე დედოფლის დიპლომატიური ქორწინება არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. ქორწინებიდან მალევე დაქვრივებულ დედოფალს რთული ბედი ერგო. ის იძულებული გახდა, ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ბიზანტიისთვის გადაეცა, რათა ამ ნაბიჯით შვილისა და თავისი სიცოხლე გადაერჩინა. მეუღლის და მოკავშირე თანამემამულეების გარეშე დარჩენილმა ალდე დედოფალმა, მხოლოდ ბიზანტიაში თავშესაფრის მოპოვებით შეძლო გადარჩენა. სამწუხაროდ, არ ვიცით, რამ აიძულა იგი უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო, შეიძლება მას და უფლისწულს შეთქმულებასაც კი უმზადებდნენ და სწორედ ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი და საქართველოს მტერს გადაულოცა ანაკოფიის ციხე.

[77] ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 176; მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი. თბ. 2002. გვ. 544.

V თავი

ელენე არგირე

1027 წელს გარდაიცვალა გაერთიანებული საქართველოს მეფე, გიორგი I, ტახტზე კი ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატ IV. ცხრა წლის მეფის რეგენტი გახდა დედა, დედოფალი მარიამ არწრუნი. XI საუკუნის 30-იან წლებში მრავალწლიანი ომისგან გადაღლილ საქართველოს რთული საგარეო-პოლიტიკური ამოცანები უნდა გადაეჭრა.რაც მოიცავდა შემდეგს: ბიზანიის იმპერიისაგან თავის დაღწევასა და საერთაშორისო არენზე ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებას.[78]

საქართველოს სამეფო კარმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველო-ბიზანტიას შორის ურთიერთობის დარეგულირებისა. ამ საპასუხისმგებლო მისიის მეთაურად აირჩიეს მარიამ დედოფალი. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორები გვიდასტურებენ დედოფლის დიპლომატიურ ვიზიტს კონსტანტინოპოლში. ,,მატიანე ქართლისაჲს" უცნობი ავტორი დასძენს: *,,ამისა წელსა მესამესა წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თვისისა, ვითარცა არს ჩვეულებაი და წესი სახლისა მათისაი და მოყვანებისათვს ძის ცოლისა. და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მისცა ფიცი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვს, დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისთვს ელენე დედოფალი".*[79]

სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში წერს: *,,ამისა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმხნე და ახოვანებაი, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა/მეფეთა არშაკუნიანთა, და წარვიდა კონსტანტინეპოლეად წინაშე რომანოზ მეფესა ვედრებად მისა, რაითა მშვდობა ყოს აღმოსავლთისათვს და რაითა არღარა იყოს ბრძოლაი ბერძ/ენთა*

---

[78]პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 173

[79] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ 279.

და ქართველთაი, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რაითა მიუთხრეს პატივი ძესა თვსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახლისა[მათისა]"[80]

გიორგი კედრენე კი აღნიშნავს: *,,ამასობაში ავადმყოფობისგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს. მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე, თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი, აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ. ხოლო ბაგრატი კურაპალატის წოდებაში აღაზევა."*[81]

ამგარად, მარიამ არწრუნის დიპლომატიური ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა. რისი მეშვეობითაც საქართველომ მოიპოვა დროებითი მშვიდობა, ზავის სახით; ბაგრატ მეფეს ებოძა კურაპალატის ტიტული და, აგრეთვე, ბიზანტიის იმპერიიდან ჩამოუყვანეს საცოლე. ელენეს საქართველოში ჩამოსვლა, დაახლოებით, უნდა მომხდარიყო 1031-1032 წელს. როგორც ცნობილია, იმპერატორი კონსტანტინე VIII გარდაიცვალა 1028 წლის 15 ნოემბერს.[82] მისი შემდგომი იმპერატორის, რომანოზ III-ის მეფობის მესამე წელს შედგა მარიამ დედოფლის დიპლომატიური ვიზიტი კონსტანტინოპოლში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კი ელენეს საქართველოში ჩამოსვლისა და ქორწინების თარიღად მიმაჩნია 1031-1032 წელი.

საქართველოს ახალი დედოფალი იყო იმპერატორ რომანოზ III არგიროსის ძმის, მაგისტროს ბასილ არგიროსის ასული. ბასილი იყო ვასპურაკანის პირველი ბიზანტიელი მმართველი.[83]

XI საუკუნის დიპლომატიური ქორწინებებიდან ერთ-ერთი ნიშანდობლივი და საყურადღებოა, სწორედ, ბაგრატ IV-ისა და ელენე არგირეს ქორწინება. ბაგრატიონებისა

---

[80] სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. გვ. 375.

[81] კედრენე გ. გეორგიკა. ტ. V. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963. გვ 55.

[82] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ. 164.

[83] https://www.revolvy.com/page/Helena-Argyre?cr=1

და არგიროსების ნათესაური კავშირი უნდა გამხდარიყო საქართველო-ბიზანტიას შორის ,,მშვიდობისა და ერთობის“ გარანტი.

ბაგრატ IV-მ და ელენე არგირემ იქორწინეს ბანას ტაძარში *,,აღასრულ/ეს ქო/რწილი უკურთხეს გვრგვნი ბანას“*[84], *სადაც მოხდა ბაგრატის მეფეედ კურთხევაც, 1027 წელს. ბანაში* ჯვრისწერის ამსახველი ფრესკა შესრულებულია ოშკში, რომელიც თარიღდება 1036 წლით.[85]

დედოფალ ელენეს შესახებ მცირე ინფორმაციას გვინახავს ისტორიოგრაფია. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან, უმნიშვნელოვანესი ცნობაა დაცული ვახუშტი ბატონიშვილთან. წყაროში საუბარია ელენეს საქართველოში ჩამოსვლასა და მის მზითევზე. *,,კეისარმა აღუსრულა სათხოველი, მოსცა ელენე ასული თვსი ცოლად ბაგრატს, სამსჭუალი უფლისა და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად. ხოლო მოიწია რა დედოფალი ტაოს მიეგება ბაგრატ მეფე, მოიყვანა და ჰქმნა* ქორწილი.“[86] ელენე არგირეს წყალობით, ოქონის სასაულმოქმედი ხატი და ერთ-ერთი ლურსმანი, რომლითაც უფალი ჯვარზე გააკრეს, საქართველოს კულტურისა და ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა.

როგორც ჩანს ელენე არგირე უნდა ყოფილიყო კულტურის შემწე და მოყვარული. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებლები, გელათის გულანის ცნობით, არიან ბაგრატ IV და ელენე დედოფალი. თედო ჟორდანიას ქრონიკების I ტომში ვკითხულობთ: *,,ბაგრატ აფხაზთა მეფის საუკ... და თანამეცხედრისა მისისა დედოფალთ დედოფლისა ელენესი საუკ...“*[87]

,,მატიანე ქართლისაის“ უცნობი ავტორის ცნობით, ქორწინებიდან მალევე გარდაიცვალა დედოფალი ელენე. *,,და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთაისს შინა.“* [88] წყაროში არაა მითითებული რა გახდა დედოფლის მოულოდნელი სიკვდილის მიზეზი. ზურაბ პაპასქირის აზრით, *,,1032-1033 წელს*

---

[84] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 280.
[85] Eastmond A. Royal Imagery in Medieval Georgia. Penn State university press.1998. P. 233.
[86] ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973 . გვ. 144.
[87] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ. 202-203.
[88] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 280.

გარდაიცვალა ელენე დედოფალი კონსტანტინოპოლან დამაკავშირებელი მთავარი რგოლი. ისევ შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კურსი. არც გიორგი I-ისა და არც ახალგაზრდა დედოფლის ელენეს სიკვდილი შემთხვევითი არ იყო. ორივე ისინი, ჩვენი აზრით, იმ შეურიგებელი ბრძოლის მსხვერპლნი შეიქმნენ, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სამეფო კარზე პრობიზანტიურსა და ანტიბიზანტიურ დაჯგუფებებს შორის."[89] ჯაბა სამუშია იზიარებს ზურაბ პაპასქირის მოსაზრებას და დასძენს: *,,გარკვეულ ეჭვს მართლაც ბადებს ის ფაქტი, რომ ქუთაიში მიყვანიდან მცირე ხნის შემდეგ სრულიან ახალგაზრდა პრინცესა მიიცვალა. შესაძლებელია, ელენე დედოფალს თავიდანვე რაღაც სერიოზული დაავადება ჰქონოდა და მისი გარდაცვალება ამ მიზეზით ყოფილიყო გამოწვეული".* [90] ამგვარად, ორივე მეცნიერის მოსაზრება დამაჯერებელია და მათ ვეთანხმები. ახალგაზრდა დედოფალს სიკდილი მოუსწრაფვეს ანტიბიზანტიური დაჯგუფების წარმომადგენლება ან ის, მართლაც, უკურნებელი სნულებით იყო დაავადებული.

ამგვარად, ელენე დედოფალს უდიდესი ადგილი ეჭირა ბიზატიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის დათბობაში. არგიროსი პრიცესას გადედოფლებამ ბიზანტიურ-ქართული ომი, დროებით შეაჩერა, რამაც საქართველოს დასვენებისა და ახალი ძალების მოკრების საშუალება მისცა. ის მართლაც ამ ორი ქვეყნის მაკავშირებელი რგოლი იყო. გარდაიცვალა თუ არა ელენე დედოფალი, კარდინალურად შეიცვალა არსებული ვითარება. ბაგრატ მეფის მოწინააღმდეგე ნახევარძმა, დემეტრე უფლისწული და დედამისი,ალდე დედოფალი ბიზანტიაში გაიხიზნენ და ანაკოფიის ციხე ბიზანტიელებს ჩააბარეს. ამით, საქართველოს ცენტრალიზაციას წყალი შეუდგა. მტრის ასეთი სიახლოვე,შეიძლება, საქართველოსათვის ლეტალური შედეგის მომტანი ყოფილიყო. *,,ბიზანტიის ხელისუფლება არ იყო გულწრფელი საქართველოს მიმართ და მარიამ დედოფლის მეთაურობით მიღწეული შეთანხმების დაცვას ყურადღებას არ აქცევდა. საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანობის დაცვის სურვილის შემთხვევაში,*

---

[89] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ.160.

[90] სამუშია ჯ. ბაგრატ IV. თბ. 2018. გვ. 52.

მას თავშესაფარი არ უნდა მიეცა საქართველოდან გაქცეული ბაგრატის მოწინააღმდეგე ელემტებისთვის".[91]

მაშასადამე, ელენე არგირე მცირეხნიანი დედოფლობით, მაინც საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მისი წყალობით შეჩერდა მრავალწლიანი ბიზანტიურ-ქართული ომი. ჩვენ არ ვიცით, როგორი წარიმართებოდა ელენეს დედოფლობის ხანა, მალევე რომ არ გარდაცვლილიყო, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი მოღვაწეობა ქვეყნისათვის სასიკეთო იქნებოდა. კულტურის შემწე და მოყვარულ დედოფალს ღირსეული თვისებები გააჩნდა, რომ ქვეყნის განვითარება სასიკეთოდ წარემართა.

[91] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969. გვ. 179.

VI თავი

ბორენა დედოფალი

ბაგრატ IV-ის პირველი დიპლომატიური ქორწინება ელენე არგიროსთან მოკლევადიანი აღმოჩნდა. ახალგაზრდა დედოფალი მალევე გარგადაიცვალა, მემატიანეები კი მისი სიკვდილის მიზეზებზე არაფერს ამბობენ. ელენე დედოფლის გარდაცვალებით ჩატყდა დიპლომატიური ხიდი ბიზანტიასთან. მეტიც, ბაგრატ მეფის ნახევარძმამ დემერე უფლისწულმა და ალდე დედოფალმა, ანაკოფიის ციხე ბერძნებს გადასცეს, ასე რომ, მტერი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა და დამკვიდრდა. ამის გამო, საქართველოს სამეფო კარს უნდა მოეძებნა ახალი ძლიერი მოკავშირე, რომელთან დანათესავებაც, ქვეყნისთვის სასიკეთო იქნებოდა.

საქართველოს სამეფო კარმა არჩევანი ოსეთზე შეაჩერა. ქართველები ხშირად უმოყვრდებოდნენ ოსებს, რადგან ისინი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. ბაგრატ IV-ის მამამ, გიორგი პირველმაც ხომ სწორედ ოვსთა მეფის ასულ, ალდეზე იქორწინა მეორედ. ამგვარად, ოსთა სამეფო კართან დაახლოება იმდროინდელ საქართველოსთვის მისაღები და სასარგებლო იყო.

როგორც ზემოთ განხილულ თავში ვისაუბრე, ბაგრატ IV-ს ანაკოფიის ციხეში დარჩა ნახევარძმა, დემეტრე უფლისწული, რომელიც მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდა. დემეტრეს დედა, დედოფალი ალდე, კი წარმოშობით ოსეთიდან იყო. ბაგრატ IV-მ და მარიამ დედოფალმა ჭკვიანურად განსაზღვრეს თუ ვინ იქნებოდა ბაგრატის მომავალი, მეორე მეუღლე. ახალი დედოფალიც ოსეთიდან იყო, ისევე, როგორც დემეტრე უფლისწულის დედა, ამ ახალი დიპლომატიური ქორწინებით ალდეს ჩამაოშორეს მოკავშირეები ოსების სახით. ახლადდამოყვრებულ ოსებთან დამყარებული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო იმისი გარანტი, რომ ალდე და დემეტრე დაკარგავდნენ დასაყრდენს ოსებს შორის. მოკავშირეების გარეშე დარჩენილი უფლისწული კი საბოლოოდ უარს იტყოდა მეფობაზე. ამგვარად, ბორენას, როგორც ოსეთის სამეფოს წარმომადგენლის დიპლომატიური როლი უდიდესი იყო საქართველოსთვის. ის უნდა ყოფილიყო ოსეთთან დამაკავშირებელი რგოლი. ახალი მოკავშირე- ოსეთი კი

საქართველოს უნდა დახმარებოდა გაძლიერებაში. რაც, ფაქტობრივად, მოიცავდა საჭიროების ჟამს ომებში დახმარებას.

ასე რომ, ბაგრატ IV-მ მეორედ იქორწინა ბორენა დედოფალზე, რომელიც იყო *,,ოვსთ მეფისა ასული, დაი დორღოლელისაი".*[92] ბორენას ასაკი თუ რამდენი წლის იყო ქორწინებისას, უცნობია. მათი ქორწინება კი უნდა მომხდარიყო XI საუკუნის 30-იან წლებში. ბორენასა და ბაგრატ IV-ს ჰყავდათ ორი შვილი: ძე გიორგი II, შემდგომში საქართველოს მეფე და ასული, მართა-მარიამი, ბიზანტიის დედოფალი. ბორენა დედოფლის სახელი წყაროში ორჯერ გვხვდება, სხვა შემთხვევაში მემატიანე მას გიორგი უფლისწულის დედად იხსენიებს.[93]

,,მატიანე ქართლისაიდან" ვარკვევთ, რომ XI საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, ლიპარიტ ბაღვაშმა გიორგი უფლისწულის გამეფება გადაწყვიტა. ამ თემაზე მოლაპარაკება კი წარმართა ბორენა დედოფალთან: *,,ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა".*[94] ჯაბა სამუშიას აზრით, *,,გიორგი უფლისწულის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა და რუისის ტაძარში მისი მეფედ კურთხევაც, ასევე ბორენას ნება-სურვილით უნდა მომხდარიყო".* [95] სავარაუდოდ, ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ყოფნის ჟამს, გიორგი უფლისწულთან ერთად ქვეყანას მართავდა ბორენა დედოფალი. ის სამეფო კარზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, რომლის ნების გარეშე ვერ მოქმედებდა თვით, ძლევამოსილი ფეოდალი, ლიპარიტ ბაღვაშიც. ამგვარად, ბორენა დედოფალი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა უნდა ყოფილიყო.

ძირითადად, როდესაც მეფე მცირეწლოვანი იყო, მას რეგენტად დედას უსვავდნენ. გიორგი II-ის შემთხვევაში კი მოხდა პარადოქსი. უფლისწულს რეგენტად არა დედა, ბორენა დედოფალი, არამედ მამიდა გურანდუხტ დედოფალი დაუნიშნეს, რომელიც

---

[92] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 280.
[93] მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ 30.
[94] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ. 287.
[95] მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ 30-31.

სპეციალურად ჩამოიყვანეს ვანანდიდან[96]. აქვე იბადება კითხვა, თუ რატომ ჩამოაშორეს ბორენა დედოფალი რეგენტობას?! ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება გაეცეს ზურაბ პაპასქირის მსჯელობით: *,,ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გურანდუხტი, თავდაპირველად, ბორენას დასაპირისპირებლად იყო გამოყენებული და მისი საქართველოში ჩამოსვლა ბიზანტია-ლიპარიტის ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ შემდგომ, ეტყობა, ვითარება შეიცვალა. ბაგრატ IV-ის მომხრეებმა შეძლეს გურანდუხტის გადმობირება, გამოიყენეს მისი ავტორიტეტი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და ფაქტობრივად დაიხსნეს თავიანთი მეფე ტყვეობიდან".*[97]

ბორენა დედოფლის დამსახურებით, ბაგრატ IV-ს ძლიერი და ერთგული მოკავშირე ჰყავდა ოსების სახით. როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-მ ბორენა დედოფლის ძმა, დორღოლელი თავისი 40 000 კაციანი ლაშქრით დაიხმარა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. *,,და გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა და წარუძღუანა წინა ძე გიორგი კურაპალატი და მოაოხრა განძა და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და გაგზავნა თავის სამეფოდ".*[98] პავლე თოფურიას აზრით, იმის მიუხედავად, რომ შადადიანებს საქართველოს წინააღმდეგ თურქ-სელჩუკები უჭერდნენ მხარს, *,,გარდატეხის მომენტი ამ ურთიერთობაში არანში ოს-ქართველთა გაერთიანებულმა, ძლევამოსილმა ლაშქრობამ შეიტანა".*[99] შეიძლება ითქვას, რომ ოსების ძალის გარეშე ბაგრატ IV-ს გამარჯვება გაუჭირდებოდა, ოსებთან კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ კი საქართველო მტრის რისხვისგან იხსნა.

როგორც ქართველებისთვის ასევე, ოსებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ოს-ქართველთა ნათესაური კავშირი. ,,მატიანე ქართლისაიში" ვკითხულობთ, რომ დორღოლელმა მოისურვა ბაგრატ მეფესთან სტუმრობა: *,,ითხოვა დარბაზობაი ბაგრატისგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოველითა თავადითა ოვსეთისაითა, და აღმოვლო გზაი ათხაზეთისაი და მოვიდა*

[96]პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 238.

[97] პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 238.

[98] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ.295.

[99]თოფურია პ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1975. გვ202.

ქუთაისს, და ნახა დაი მათი დედოფალი, დედაი გიორგი კურაპალატისაი. რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დგა ტინისხისის ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა".[100] ქართველებიც სათანადოდ აფასებდნენ მოყვარეს. ბიძას, დორღოლელს წინ შეეგება თავისი დისშვილი, გიორგი II და არა სხვა გზის გამკვლელვი. ოსებისა და ქართველების ზეიმი თორმეტი დღე გაგრძელდა და ბაგრატ მეფემ *,,მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა".*[101] ამგვარად, ოსებისა და ქართველების დიპლომატიური კავშირი სასარგებლო იყო ორივე ქვეყნისათვის.

ბორენა დედოფალი მფარველობდა ეკლესია მონასტრებს, XI საუკუნის 70-იან წლებში ბორენამ თავის ასულთან, მართა-მარიამთან ერთად დააარსა კაპპათას დედათა მონასტერი, ალ-ჰაქიმის მიერ დანგრეული მონასტრის ადგილას. კაპპათას დედათა მონასტერი XIII საუკუნემდე იყო უდიდესი წიგნთსაცავი. ამ ადგილიდანაა ცნობილი ნაშრომი ,,წიგნი სინაის მთის მარტვილობაზე", რომლის გადამწერნიც დიდი მოწიწებით იხსენიებენ მართა-მარიამსა და დედამისს.[102] *,,მე ცოდვილსა დამიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენაის აღშენებულისა და სამლოცველოისა მონასტრისა კაპკათაისა, სახელსა ზედა წმ. მთავარანგელოზთაისათვს".*[103]

1910 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციისას ლეჩხუმ-სვანეთში, კერძოდ ლენჯერის თემის სოფელ ნესგუნში,აღმოჩნდა ძველი მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატზე მოთავსებული იამბიკო. ძველ ქართულში ზოგჯერ ცნება ლექსის ნაცვლად იყენებდნენ ტერმინს ,,იამბიკო", მას ორნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: 1) როგორც 12 მარცვლიანი და 2) ზოგადი ლექსისა.[104] ზემოთ ნახსენები იამბიკოს შინაარსი ასეთია:

,,რომელმან ეგე, ევას მიუზღე ვალი,

ჰრქეი რაი გაბრიელს: ,, ვარ უფლისა მხევალი"

---

[100] მატიანე ქართლისაჯ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ.295

[101] მატიანე ქართლისაჯ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ.295

[102] ნოდია ი. ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ. ბიზანტინოლოგიური ეტიუდები. თბ. 1978. გვ 152.

[103] კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. თბ. 1957 გვ 204.

[104] ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბ. 1965. გვ.18.

მაშინ ისტუმრე ქუეყნად მოუვალი, -

დაემხო ძალი, პირველ სისხლ-დამთრვალი;

ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი!"[105]

სევდიანი განწყობის ლექსის ავტორი ევედრება ღვთისმშობელს და მისგან ხსნას ითხოვს. ავტორი რელიგიური გრძნობებით განმსჭვალული ჩანს. იამბიკოს ავტორის ვინაობა უცნობია, მხოლოდ მასში მოხსენიებული სახელით მეცნიერებს უჭირთ ზუსტი დასკვნების გამოტანა.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იამბიკოს დათარიღებისა და ავტორის ვინაობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ: კ.კეკელიძე, ა ხახანაშვილი, ს. ცაიშვილი, ს.ყუბანეიშვილი მიიჩნევს, რომ ამ ლექსის ავტორი ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა დედოფალია.

კორნელი კეკელიძე დასძენს, *,,მეთერთმეტე საუკუნეში, უკეთ-მის მეორე ნახევარში, იამბიკოში შეჭრილა, შეიძლება ხალხური პოეზიის ზეგავლენითაც, ნამდვილი გამართული რითმა. ეს ჩანს სვანეთის ერთ-ერთი ხატის წარწერიდან, რომელიც ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენას ეკუთვნის".*[106]

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ხატის ხელობა შეიძლება კლასიკურ ხანას XI-XII საუკუნეებს მეკუთვნებოდეს, მაგრამ წარწერის ხასიათი შუეძლებელია XI საუკუნისა იყოს. *,,წარწერა მერმინდელია, შეიძლება ძველიდან გადაწერილი, არა უადროეს მე-16-17 საუკუნისა. ანდა აქ მოხსენიებული ბორენა სხვა პირია და არა ბაგრატ მეოთხის ცოლი".*[107]

პავლე ინგოროყვას აზრით, ღვთისმშობლის ხატი XIII საუკუნის, ხოლო იამბიკოს ავტორი ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენაა.[108]

ვალერი სილოგავა მიიჩნევს, რომ იამბიკო ეკუთვნის XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის პირველ ნახევარს. რაც შეეხება ქალის სახელ ბორენას, ამ

---

[105] ძველი ქართული პოეზია V-XIIს.ს. ტ.I. თბ. 1979. გვ. 140.

[106] კეკელიძე კ, ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII ს.ს). თბ. 1969. გვ 172

[107] თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937. გვ. 316

[108] ინგოროყვა პ თხზულებათა კრებული, ტ.I. თბ. 1963. გვ 686-687; მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ. 32.

პერიოდში ის ისევე როგორც სვანეთში, ასევე, მთელს საქართველოში გავრცელებული იყო და რომელიმე პიროვნებასთან ლექსის ავტორის გაიგივება ძნელია.[109]

ვფიქრობ, იამბიკოს ავტორი სავსებით შესაძლებელია ბაგრატ IV-ის მეუღლე დედოფალი ბორენა იყოს. დედოფლის რელიგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ ქრისტიანულ მოტივებზე დაწერილი ლექსის ავტორი ის ყოფილიყო.

ამგვარად, ბორენა დედოფლის მოღვაწეობამ საქართველოს სასიკეთო შედეგები მოუტანა. მასზე დამყარებული დიპლომატიური კავშირი ოსეთთან, ქვეყანას დიდად დაეხმარა ომიანობის ჟამს. ოსებთან დამოყვრებით ბაგრატ IV-მ ერთგული და ძლიერი მოკავშირე გაიჩინა. ეს ყოველივე კი უზრუნველყოფდა საქართველოს ცენტრალიზაციასა და ძლევმოსილებას. ბორენა დედოფალი ხელოვნებისა და რელიგიის მფარველი და გულშემატკივარი იყო. მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი არ ვიცით, ,,მატიანე ქართლისაიდან“ მხოლოდ იმას ვარკვევთ, რომ ბაგრატ IV-ის სიკვდილის ჟამს, 1072 წელს დედოფალი ცოცხალი იყო. მომდევნო ხანის სხვა ცნობა მასზე უკვე აღარ მოგვეპოვება.

[109] სილოგავა ვ. ბორენას წარწერა-ლექსის გარშემო. გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, 15-22 იანვარი. 1999. გვ 6; მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ32.

VII თავი

ელენე დედოფალი

ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, 1072 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი II. რომლის მეფობის ჟამს ქვეყანაში რთული პოლიტიკური ვითარება სუფევდა. XI საუკუნის 70-80-იან წლებში მეფესა და ფეოდალებს შორის მიმდინარე ბრძოლები, თურქ-სელჩუკთა გამუდმებული შემოსევები, დაბალი ფენების დუხჭირი მდგომარეობა, ბიზანტიის იმპერიასთან ლავირება ცენტრალურ ხელისუფლებას დიდ საფრთხეს უქმნიდა.[110]

სამწუხაროდ, ასეთი ძნელბედობის ჟამს მემატიანეები გიორგი II-ის თანამეცხედრის შესახებ ცნობებს არ გვაწვდიაან. რაც მასზე ვიცით, მხოლოდ მისი სახელია–ელენე. გიორგი II-სა და ელენე დედოფალს ჰყავდათ ერთადერთი შვილი, ვაჟი, დავით IV აღმაშენებელი. სწორედ დავითის ისტორიკოსთანაა ნახსენები, რომ ის იყო მხოლოდშობილი: *,,ამას მარტოდ-შობილსა გიორგისგან, თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისაჲ".*[111] სავარაუდოდ, ელენე დედოფლისა და გიორგი II-ის ქორწინება 1072 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან მეფედ კურთხევისას, 1089 წელს, დავითი 16 წლის იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დაიბადა 1073 წელს.

როგორც ზემოთ ითქვა, ელენე დედოფალზე წერილობით წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. ერთადერთი, საიდანაც მის სახელს ვიგებთ, ესაა წყაროსთავის მათეს სახარების თარგმანების, ანდერძ-მინაწერი, რომელიც შესრულებულია გადამწერის ეგნატი ხუცესმონაზონის მიერ. ტექსტის შინაარსი ამგვარია: *,,სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გვრგვნოსანთა მეფეთა ჩვენთა. სულითა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა და ძმისა გიორგი მეფეთ-მეფისა და კესაროსისა, და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე*

[110] მეტრეველი რ, სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ. 3.

[111] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მ. შანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008. გვ.307

დედოფლისა“.[112] თედო ჟორდანია 1089-1091 წლებით ათარიღებს. მათეს სახარების თარგმანების მინაწერს და დასძენს, რომ აღნიშნული ტექსტიდან დგინდება გიორგი II-ისა და დავითის ერთად მეფობა, აგრეთვე დავით IV-ის დედის ვინაობა, რომელიც აქამდე უცნობი პირი იყო.[113]

თედო ჟორდანიას თავის ქრონიკების I ტომში მოჰყავს დედოფლების სია, რომლისთვისაც მიუკვლევია 1270 წლით დათარიღებული შიო-მღვიმის წიგნთსაცავის ტყავის წიგნში. აღნიშნულ სიაში დედოფალი ელენე მეხუთე ადგილზეა მოხსენიებული, ბორენა დედოფლის შემდეგ. [114] რაც კვლავ იმის დამადასტურებელია, რომ ნამდვილად ელენე ერქვა გიორგი II-ის მეუღლეს.

ამგვარად, თითქმს არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება XI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დედოფლის ცხოვრების შესახებ. ჩვენ არ ვიცით ელენე დედოფლის წარმომავლობა, დილომატიური, პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეობა. სამწუხაროა, რომ მემატიანეებმა თავი შეიკავეს მასზე საუბრისგან. რომელიმე ისტორიკოსთან მაინც უნდა ყოფილიყო მასზე ცნობები დაცული, რადგან ის იყო საქართველოს უძლიერესი მეფის დავით IV აღმაშენებლის დედა. ამიტომ ის ჩრდილქვეშ არ უნდა მოქცეულიყო.

---

[112] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია. ტ. I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც.კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ. 1976. გვ159-160.

[113] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ. 234.

[114] იქვე 145-146.

VIII თავი

რუსუდან დედოფალი

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა დავით IV-მ. მისი პირველი მეუღლის, XI საუკუნის საქართველოს უკანასკნელი დედოფლის შესახებ, ქართველი მემატიანეები არაფერს გვიამბობენ. მეტიც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასულის, გურანდუხტის გარდა, მეფის სხვა მეუღლის არსებობაზე არ საუბრობს. ერთადერთი, ვისგანაც დანამდვილებით ვიცით, რომ დავითს სხვა ცოლიც ჰყავდა, ესაა მათე ურჰაელი, რომელიც დემეტრე I-თან მიმართებით დასძენს რომ, ის იყო შვილი ,,სომხის ქალისა".[115]

თუ დავით IV-ს გურანდუხტამდე ჰყავდა სხვა მეუღლე, დემეტრე I-ის დედა, მაშინ მეფის მემატიანე მას რატომ არ ახსენებს?! ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნულ ფაქტს ამგვარი ახსნა მოუძებნა: *,,დავით აღმაშენებელს რაღაც ,,სიჭაბუკისა" ცოდვა ჰქონია ჩადენილი. თავის ,,გალობანი სინანულისანში" მეფე ამბობს სხვათა შორის ,,მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილ[ის]თა-მიერ ხენეშ[ი]თა ვმძლავრე საწოლსა ჩემსა და სახეთა-მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერის ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელი". ამ წინადადებიდან ჩანს, რომ ჩვენს გვირგვინოსანს რაღაც უწესობა ჩაუდენია ქორწინებაში. მის ისტორიკოსს მოხსენიებული ჰყავს მხოლოდ ერთი მისი თანამეცხედრე, ყივჩაყთა მთავრის ასული; მაგრამ სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის სიტყვებიდან ირკვევა,რომ მეფეს სხვა ცოლიცა ჰყოლია... იქნებ იგი დავით აღმაშენებლის ისტორიაში იმიტომ არ არის მოხსენიებული, რომ მეფე მას გაეყარა და მეორე ცოლი, ყივჩაყთა მთავრის ასული შეირთო? იქნებ სწორედ ეს საქციელი იყოს დავითის ,,ბრალნი სიყრმისა" და ,,სიჭაბუკისა"-ნი? დავით აღმაშენებელი მთელ თავის სიცოცხლეში ამ ცოდვის მონანიებაში იყო და შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულს ანდერძში ბერებს საგანგებოდ ავალებდა კიდეც, რომ ყოველ დიდმარხვას მისთვის ასე*

---

[115] The Cronicle Matthew of Edessa. Translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Postourian.Lanham.1993 გვ.231; საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 1966. გვ. 249

ელოცნათ: ,,უფალო, ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნიმისნი სიყრმისა და ცთომილებისანი".[116]

ამგვარად, დავით აღმაშენებლის პირველ მეუღლეზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ეროვნებით სომეხი იყო, გვარ-სახელი და სხვა მონაცემები მასზე უცნობია.

ჯემალ სტეფნაძის აზრით, შეიძლება, დედოფალზე საუბარი ყოფილიყო იოანე ჭიმჭიმელის ,,შესხმა-მოთხრობაში", რომელშიც დემეტრე I-ის ცხოვრება-მოღვაწეობა ყოფილა აღწერილი, თუმცა, სამწუხაროდ, თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. [117] ისტორიკოსი, აგრეთვე, დასძენს, რომ შეუძლებელია დედოფალს, რომელიც დავითის სამ შვილს- თამარს, დემეტრესა და კატას ზრდიდა, მეფე ასე უდიერად მოქცეოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ის უდროოდ გარდაცვლილიყო და დავითიც ამის გამო დაქორწინდა მეორედ. [118] შეიძლება საინტერესოდ ჟღერდეს აღნიშნული მოსაზრება, მაგრამ მას არ ვეთანხმები. ყველასთვის ცნობილია, რომ დავითმა ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლებამდე, რამდენიმე წლით ადრე იქორწინა ყივჩაღთა მთავრის ასულზე. ანუ, მეფემ დიპლომატიური ქორწინებით საფუძველი შეუქმნა ახალი სამხედრო რეფორმისთვის საჭირო, ყივჩაღების ჩამოსახლებას. მეფემ პირადი ინტერესები გერდით გაწია და სახელმწიფოებრიობაზე იფიქრა, ამიტომ, ის კი არ დაქვრივდა, არამედ ახალი მოკავშირე შეიძინა მეორე ცოლის ოჯახის სახით.

დავით IV-ის პირველი მეუღლის სახელის, დადგენისას, საინტერესოა თედო ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი დედოფლების სია, რომელსაც მიაგნო შიო-მღვიმის წიგნთსაცავში, 1270 წელს დაწერილ ტყავის წიგნში. ბორენასა და ელენეს შემდეგ დასახელებულია რუსუდანი და შეიძლება სწორედ ის იყოს დავითის პირველი ცოლი.[119] აგრეთვე, თედო ჟორდანია ვარაუდობდა, რომ ის იყო დემეტრე I-ის დედა.[120]

დემეტრე I-მა თავის ასულს, რუსუდანი დაარქვა. სავარაუდოდ, ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ დავით IV-ის პირველ ცოლს, სწორედ, რუსუდანი ერქვა და

---

[116] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 2012. გვ. 213-214.
[117] სტეფნაძე ჯ. დემეტრე I ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1990. გვ. 7.
[118] იქვე, გვ. 9.
[119] ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892. გვ 145.
[120] იქვე გვ 240-242.

დემეტრემაც დედის საპატივცემულოდ დაარქვა შვილს იგივე სახელი. აგრეთვე, კ. თუმანოვის აზრია, რომ დავით IV-ის პირველ ცოლს უნდა რქმევოდა რუსუდანი.[121]

ტაშირ-ძორაგეტის მეფე, კვირიკე III(1048-1089) ცნობილი იყო თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით. მას ჰყავდა ორი ვაჟი-დავით II, აბასი და ხუთი ასული: რუსუდანი, მარიამი, ბორენა, მამქანი, ვანანი.[122] ეს ოჯახი მოხსენიებულია 1171 წლით დათარიღებულ ქობერის წარწერაში. მისი შინაარსი კი ამგვარია: *,,მე მარიამ, ასულმან კვირიკე მეფისამან, ტომისაგან ბაგრატონიანთამან, აღვაშენენ წმიდაჲ ესე კათოლიკეჰ შემწეობითა დისა ჩემისა რუსუდანისათა, მოსახსენებლად ჩუენთა და მშობელთა ჩუენთა და მამისა დისა ჩუენისა რუსუდანისა და ძმისა ჩუენისა აბასისა, ვინცა თაყუანისცემდეთ ქრისტეს წმიდას ამას სალხინებელსა, მოგვიხსენეთ ქრისტეს მიერ, რამეთუ ადგილისა ამისა იწროებისა გამო ფრიად დავშუერით".*[123] ჩვენთვის ეს წარწერა იმ კუთხითაა საინტერესო, რომ მასზე დაყრდნობით, დავით IV-ის პირველი მეუღლის სავარაუდო ვინაობაზე ვისჯელოთ. წარწერაში დასახელებული პირებიდან ჩვენვის საინტერესოა მარიამის მამის და, რუსუდანი. რუსუდანი, კვირიკეს და სომეხია, ისევე როგორც, დემეტრე I-ის დედა. კვირიკეც და დავით IV-ის თანამეცხედრეც XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეები არიან. ეს რამდენიმე დამთხვევა აჩენს კითხვებს, იქნებ სწორედ წარწერაში მოხსენიებული რუსუდანია დავით IV-ის უცნობი, ეროვნებით სომეხი მეუღლე? ვფიქრობ, ქობარის წარწერაში ნახსენები კვირიკეს და რუსუდანი და მათე ურჰაელთან დასახელებული დემეტრე I-ის დედა, ,,სომეხი ქალი" ერთი და იგივე პიროვნებებია. ამგვარად, დავით აღმაშენებლის პირველი მეუღლე უნდა ყოფილიყო რუსუდან ბაგრატუნი, ამავე აზრს იზიარებს გ. მჭედლიშვილიც.[124].

ზოგიერთ მეცნიერს დავით აღმაშენებლის პირველი ცოლის მოღვაწეობის ბოლო წლების ამსახველ მასალად მიაჩნია იერუსალიმის იესო ქრისტეს საფლავის კანტორისა და ხუცესის ანსოს, ანუ ანსელუსის წერილები ეპისკოპოსი გალონის, სტეფანე

---

[121] https://en.wikipedia.org/wiki/Family_of_David_IV_of_Georgia#CITEREFToumanoff1976

[122] ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი პოლიტიკური ისტორიის საკითხები(ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია). თბ. 2001. გვ.149.

[123] იქვე, გვ 149.

[124] მჭედლიშვილი გ. ქართველ ქალთა ისტორიული პორტრეტები. თბ. 2013. გვ. 82.

მთავარდიაკონისა და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულისადმი. წერილები 1108-1109 წლებით არის დათარიღებული. ანსელუსი წერილებით თანამემამულეებს ეუბნება, რომ მან შეიძინა უფლის ძელი ცხოველისგან დამზადებული ჯვარი, რომელსაც ახლა პარიზში აგზავნიდა: *,,ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომლის წინაპრებივით, კასპიის კარი-გოგსა და მაგოგს რომ ზრუდავს-ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქომამდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია. შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სატაყვანომ, წესი მონაზნობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ(მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა. ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება. წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისავის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგზით არ იმოქმედებდა. ამრიგად, ის ძელი არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთ".*[125]

ამგვარად, ფრანგი ხუცესის წერილების შინაარსის გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვები წერილის თარიღთან და დავით აღმაშენებლის ქვრივივ ვინაობასთან მიმართებაში. ანსოს წერილების მკვლევარი, ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ აქ მოხსენიებული დავითის ქვრივი ნამდვილი ქვრივი არაა. რადგან წერილები პარიზში გაიგზავნა 1107 ან 1108 წლებში, როდესაც დავითი ჯანმრთელი იყო. მკვლევარის აზრით, ანსელუსმა მოიტყუა დედოფლი რომ ქვრივი იყო. რადგან პარიზში იფიქრებდნენ, რომ გაყრილ ცოლს არავინ მისცემდა ამ ჯვარს. დედოფლის ქვრივად შერაცხვა კი

[125] ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929. გვ. 17-18.

დამაჯერებელი არგუმენტი იყო. პარიზში ვინ გაიგებდა ქართველთა მეფის სიკვდილის ან სიცოცხლის ამბავს.[126]

თუ წერილი 1108 წელსაა დაწერილი, დავითის გარდაცვალებაში ანსელუსი ცდება, ან შეგნებულად უშვებს შეცდომას. აქედან გამოდინარე, მკვლევრებს ეჭვი ეპარებათ დედოფლის ვინაობაშიც.[127]

ქართველ მკვლევრებს შორის აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. შ.ბადრიძე ეთანხმება ზ. ავალიშვილს და ფიქრობს, რომ ,,დავითი შეცდომით გარდაცვლილადაა ნაგულისხმები და ,,დავითის ქვრივიც“ ნამდვილი ქვრივი არ იქინებოდა. [128] ამგვარად, წერილსი ნაგულისხმები ქვრივი დედოფალი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პირველი მეუღლე.

შოთა მესხიას აზრით, წერილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. მასში მოხსენიებული ქვრივი კი- ყივჩაღთა მთავრის ასული გურანდუხტია.[129] იმავე აზრს იზიარებს ჯემალ სტეფნაძეც და დასძენს რომ, წერილი *,,1125 წლის შემდეგაა დაწერილი და ასე მხოლოდ გამომცემლის მიერაა დათარიღებული“.[130]* მსგავსად ფიქრობენ როინ მეტრეველი[131] და სიმონ ჯანაშია.[132]

ანსელუსის წერილების მონაცემები დაზუსტებული და ახლებურად გააზრებული აქვს მამუკა წურწუმიას თავის სტატიაში ,,ყივჩაღთა საკითხისავის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში“. ისტორიკოსს სიღრმისეულად აქვს გამოკვლეული თუ რომელ წელს იყო იერუსალიმში მოუსავლიანობა და შიმშილობის წლები და როდის შეეძლო ქართველ დედოფალს ჩასულიყო იქ. ამ ფაქტების დაზუსტების შემდგომ ის გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას.

,,შეგვიძლია ზოგად კონტურებში აღვადგინოთ დავით IV-ის პირველი ცოლის

---

[126] იქვე, გვ. 15

[127]წურწუმია მ. ყივჩაღთა საკითხისთვი XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკაში. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. VI. თბ. 2012. გვ174.

[128] ბადრიძე შ. საქართველო და ჯვაროსნები. თბ. 1973.გვ 16;

[129] შ. მესხია ძლევაი საკვირველი, თბ. 1972. გვ 75-77.

[130] სტეფნაძე ჯ. დემეტრე I ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1990. გვ.11

[131]წურწუმია მ. ყივჩაღთა საკითხისთვი XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკაში. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. VI. თბ. 2012. გვ175.

[132] იქვე, გვ 175.

იერუსალიმში მოღვაწეობის ხანა. ვიცით, რომ 1109-1112 წლებში ის უკვე იერუსალიმში იმყოფებოდა. იერუსალიმსი ის მანამდეც ცხოვრობდა გარკვეული ხანი, რომლის დროსაც ქველმოქმედებას ეწეოდა. 1109-1112 წლებში დედოფალყოფილი აარსებს ქართველ დედათა მონასტერს, რომლის საჭიროებისათვის 1116-1119 წლებში, უფრო კი 1119 წელს იძულებულია შეელიოს ძვირფას რელიკვიას-წმინდა ჯვარს. რაც მთავარია, ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს დაახლოებით დავადგინოთ ის პერიოდი, როდესაც აღმაშენებელი პირველ მეუღლეს გაშორდა. თუ გავითვალისწინებთ დროს, რომელიც დასჭირდებოდა საქართველოდან იერუსალიმამდე მგზავრობას, იქაურ საქველმოქმედო საქმიანობას, შემდეგ მონაზონთა შემოკრებას და ნებართვის აღებას ლათინთა პატრიარქისაგან, ყველაფერ ამას, სულ ცოტა, 2-3 წელი მაინც დასჭირდებოდა. ამდენად, გარკვეული ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1106-1109 წლებსი დავით IV ცოლს უკვე გასორებული იყო. კიდევ ერთი საბუთი, რომელიც აზუსტებს ზემოთ მოყვანილ თარიღს, ესაა 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედგენილი ძეგლისწერა, რომელსაც ერთვის მრავალრიცხოვანი მოსახსენიებელი, აქ დავითის მეუღლის სახელი არ ფიქსირდება, სხვანაირად შეუძლებელია, ისი მეუღლე საქართველოს დედოფალი არ მოეხსენიებიათ ძეგლისწერაში. ეს ნიშნავს რომ კრების ჩატარებისას დავითი უცოლოა, ე.ი. გაცილებულია თავის პორველ მეუღლეს და მეორე ჯერ კიდევ არ ჰყავს მოყვანილი".[133]

ამგვარად, ვეთანხმები აზრს, რომ ანსელუსის წერილებში მოხსენიებული ,,ქვრივი დედოფალი" არის დავით აღმაშენებლის პირველი მეუღლე. ვიზიარებ ზ. ავალიშვილის მოსაზრებას, რომ ანსომ განზრახ დაასახელა დედოფალი ქვრივად. რაც შეეხება წერილის თარიღს, ვფიქრობ, ის ახლიდან გადასახედია და შესაძლოა შეიცვალოს კიდეც. ამაში კი ვეთანხმები მ.წურწუმიას მოსაზრებებს.

ამგვარად, XI საუკუნის საქართველოს უკანასკნელი დედოფლის პიროვნება და მოღვაწეობა საინტერესო და საკამათოა. სამწუხაროა, რომ მასზე ცნობები, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება. ის იყო რელიგიური, ქველმოქმედი და გამჭრიახი

[133]წურწუმია მ. ყივჩაღთა საკითხისთვი XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკაში. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. VI. თბ. 2012. გვ 179-180.

პიროვნება.

რუსუდან დედოფლის უკანასკნელი წლები იერუსლიმში, იყო საქართველოს კულტურისა და ისტორიისათვის ფასდაუდებელი. დედოფლის წყალობით საქართველო მთელმა ევროპამ გაიცნო, როგორც უფლის წმინდა ჯვრის მფლობელი ქვეყანა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი რელიგია, ტრადიციები და ისტორია ჰქონდა.

დასკვნა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე მეჩვენებინა XI საუკუნის დედოფლების მოღვაწეობის ის ასპექტები, რომელებიც წარმოგვიჩენენ მათი ღვაწლის მნიშვნელობას. იყო შემთხვევები, როდესაც დედოფლებმა თავიანთი ქმრების პოლიტიკას გადაუხვიეს და მტრებთან ურთიერთობები დაათბეს. ამ საქციელს მხოლოდ ის ახსნა მოეძებნება, რომ იგი ნაკარნახევი იყო საქართველოს გადასარჩენად და მოსაძლიერებლად.

თვალს თუ გადავავლებთ თითოეული დედოფლის მოღვაწეობას, აღმოვაჩენთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათი ღვაწლი სამშობლოსა და ერის წინაშე. დედოფლები არ ივიწყებდნენ ქართულ კულტურასა და სარწმუნოებას. ცდილობდნენ მათ საზრდოობასა და მფარველობას.

გურანდუხტ დედოფალი X-XI საუკუნეების უმნიშვნელოვანესი და გავლენიანი ფიგურა იყო. მის ავტორიეტზე მეტყველებს მრავალი ეპიგრაფიკული წარწერა, სადაც ის თავისი შვილის ბაგრატ III-ის გვერდითაა მოხსენიებული. გურანდუხტს, როგორც აფხაზთა სამეფოს მემკვიდრეს, უდიდესი წვლილი მიუძღვის ერთიანი ქართული მონარქიის ჩამოყალიბებაში. აფხაზთა მეფის შთამომავალის სტატუსისს გარეშე, ბაგრატს გაუჭირდებოდა ერთიანი საქართველოს მმართველად გამხდარიყო. ამგვარად, ჩვენი აზრით, გურანდუხტი იყო ბაგრატის ლეგიტიმურობისა და ხელშეუხებლობის ერთ–ერთი მთავარი გარანტი.

რაც შეეხება ბაგრატ III-ის მეუღლეს მართას, წყაროების არ არსებობის გამო, ვერ ვადგენთ თუ რა მნიშვნელობის იყო მისი დედოფლობის პერიოდი.

მარიამ არწრუნი შეიძლება ჩაითვალოს XI საუკუნის დედოფლებს შორის ყველაზე ძლევამოსილ დედოფლად. თავისი შვილის, ბაგრატ IV-ის, მცირეწლოვნების ჟამს ის იყო ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი. აგრეთვე, დედოფალი გარკვეული პერიოდი მართავდა ანისის სამეფოს. ამ ფაქტით ისარგებლა ბაგრატ მეფემ და საქართველოს ტერიტორიას დაუბრუნდა ანაკოფიის ციხე. დედოფალი დაჯილდოვებული უნდა ყოფილიყო დიპლომატისათვის დამახასიათებელი ყველა უნარით. ფასდაუდებელია მისი

მოღვაწეობის შედეგები-ზავი ბიზანტიასთან და წმინდა მიწაზე ქართული მონასტრებისადმი გაწეული დახმარებები. მარიამ არწრუნს გააზრებული ჰქონდა, რომ საქართველოს კულტურისა და ისტორიისათვის საჭირო იყო მწიგნობრული კერების მოვლა-პატრონობა და ამისათვის არაფერს იშურებდა.

ალდე დედოფლის მოღვაწეობას ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომ მისი შვილის შთამომავლები ითვლებიან ოსი ბაგრატიონების ფუძემდებლებლად, ამ შტოს ღირსეული წარმომადგენელი, დავით სოსლანი, თამარ მეფის მეუღლე გახდა.

რაც შეეხება ელენე არგირეს, მისი გადედოფლებით საქართველოში დროებით მშვიდობამ დაისადგურა, რადგან ის იყო დამაკავშირებელი რგოლი საქართველოსა და ბიზანტიას შორის. სამწუხაროდ, ელენემ მოკლევადიანი დედოფლობით სხვა ღირსეული საქმეების გაკეთება ვერ შეძლო, თუმცა ის იყო ქველმოქმედი პიროვნება და რომ დასცლოდა, ვფიქრობ, თავის კვალს დატოვებდა საქართველოს წინსვლასა და გაძლიერებაში.

დიპლომატიური ქორწინებების ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია ბაგრატ IV-ისა და ბორენა დედოფლის შეუღლება. ოსთა მეფის ასულის მოღვაწეობამ საქართველოს სასიკეთო შედეგები მოუტანა. მასზე დამყარებული დიპლომატიური კავშირი ოსეთთან, ქვეყანას დიდად დაეხმარა ომიანობის ჟამს. ოსების როლი გაიზარდა საქართველოს სამეფო კარზე. ბორენა დედოფლის ძმამ, დორღოლელმა, არ დაიშურა დახმარება თავისი სიძის სასარგებლოდ. აღნიშნულმა კოალიციამ შედეგიც გამოიღო და ბაგრატ IV-ს ჩამოაშორა მტერი, განძის ათაბაგის სახით.

გიორგი II-ის თანამეცხედრის, ელენე დედოფლის შესახებ თითქმის არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება. ჩვენ არ ვიცით ელენე დედოფლის წარმომავლობა, მისი დიპლომატიური, პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეობა. სამწუხაროა, რომ მემატიანეებმა თავი შეიკავეს მასზე საუბრისგან. რომელიმე ისტორიკოსთან მაინც უნდა ყოფილიყო მასზე ცნობები დაცული, რადგან ის იყო საქართვლოს უძლიერესი მეფის დავით IV აღმაშენებლის დედა. ამიტომ ის ჩრდილქვეშ არ უნდა მოქცეულიყო. იმის მიუხედავად, რომ ელენე დედოფლის ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, ის XI

საუკუნის უმნიშვნელოვანესი პირონებაა. მან ქართველ ერს მოუვლინა დავით IV აღმაშენებელი, რომლის მეფობაც თითოეულ ქართველს ეამაყება.

რაც შეეხება XI საუკუნის ბოლო დედოფალს, დავით აღმაშენებლის პირველ მეუღლეს, მისი ცხოვრება და ვიანაობა ბურუსითაა მოსილი. ანსოს წერილების მიხედვით, შეგვიძლია, ვივარაუდოთ მისი მოღვაწეობის ბოლო წლები. ეს პერიოდი იყო საქართველოს კულტურისა და ისტორიისათვის ფასდაუდებელი. დედოფლის წყალობით საქართველო მთელმა ევროპამ გაიცნო, როგორც უფლის წმინდა ჯვრის მფლობელი ქვეყანა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი რელიგია, ტრადიციები და ისტორია ჰქონდა. აგრეთვე, საყურადღებოა რომ, დედოფალი აარსებს დედათა მონასტერს და მატერიალურად ეხმარება ქართულ სასულიერო კერებს.

ამგვარად, ნაშრომში მოყვნილი მაგალითებიდან ჩანს, რომ XI საუკუნის საქართველოს დედოფლებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის. მათი დიპლომატიური, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობა საინტერესო და ფასდაუდებელია. ამიტომ, ის დღემდე იმსახურებს დიდ ყურადღებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები:

1. ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973.
2. გაზეთი ლიტერატურული საქართველო. თბ. 15-22იანვარი. 1999.
3. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.ლოლაშვილმა. თბ. 1994.
4. დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ.ნინუამ. თბ.1975.
5. კედრენე გ. გეორგიკა. ტ. V. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963.
6. მეტრეველი ე. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998.
7. ჟორდანია თ. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892.
8. ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2008.
9. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი.II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I(IX-XIII ს.ს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ.სილოგავამ. თბ. 1980
10. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია. ტ. I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც.კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ. ელ.მეტრეველის რედაქციით. თბ. 1976.

ლიტერატურა:

11. ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929.
12. ალექსიძე ზ. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978.
13. ბადრიძე შ. საქართველო და ჯვაროსნები. თბ. 1973.
14. ბიზანტინოლოგიური ეტიუდები. თბ. 1978.

15. დარჩიაშვილი შ. სომხური ლაპიდარული წარწერები და ,,მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობა. თსუ შრომები. ტ. 227. თბ.1982.
16. თავაძე ლ. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ.2016.
17. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937.
18. თოფურია პ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1975.
19. ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბ. 1965.
20. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV.თბ.1957.
21. კეკელიძე კ, ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII ს.ს). თბ. 1969.
22. კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969.
23. ლორთქიფანიძე მ. მეფე ბაგრატ მესამე. ქუთაისი. 2002.
24. მარგიშვილი ს. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბ.2006.
25. მესხია შ. ძლევაჯ საკვირელი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. თბ. 1972.
26. მეტრეველი რ., სამუშია ჯ. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003.
27. მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი. თბ. 2002.
28. მჭედლიშვილი გ. ქართველ ქალთა ისტორიული პორტრეტები. თბ. 2013.
29. პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990.
30. სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წ. I. თბ. 1999.
31. სამუშია ჯ. ბაგრატ III. თბ.2018.
32. სამუშია ჯ. ბაგრატ IV. თბ.2018
33. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. VI. თბ. 2012.

34. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. XIV. თბ. 2018.
35. საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 1966.
36. სტეფნაძე ჯ. დემეტრე I ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1990.
37. ქართული დიპლომატია წელიწდეული. IX წიგნი. თბ. 2002.
38. ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი პოლიტიკური ისტორიის საკითხები(ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია). თბ. 2001.
39. ძველი ქართული პოეზია V-XII ს.ს. შეადგინა ს.ცაიშვილმა. თბ. 1979
40. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 2012.
41. Eastmond A. Royal Imagery in Medieval Georgia. Penn State university press.1998.
42. The Cronicle Matthew of Edessa. Translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Postourian.Lanham.1993.

ელექტრონული გვერდები

43 www.Revolvy. Com
44 www.en.Wikipedia. org.